პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

სამშაბათი, 30 ივნისი 1936 წ. № 150 (4609)

სსრ კავშირის თვითეული მოქალაქე ვალდებულია გაუფრთხილდეს და განამტკიცოს საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება, როგორც საბჭოთა წყობილების წმინდა და ხელშეუხებელი საფუძველი, როგორც სამშობლოს სიმდიდრისა და ძლიერების წყარო, როგორც ყველა მშრომელის შეძლებული და კულტურული ცხოვრების წყარო.

ის პირნი, რომელნიც ხელჰყოფენ საზოგადოებრივ, სოციალისტურ საკუთრებას, წარმოადგენენ ხალხის მტრებს.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტიდან.

ბიბლიოთეკა

ხალხის აზრი

გამარჯვებული სოციალიზმის სტალინური კონსტიტუციის პროექტს საქართველოს მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ. სიხარულისა და ბედნიერების უშრეტი წყარო აჩუხჩუხდა მათ გულში, რომელიც აღსავსეა უღრმესი მადლობით ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ხალხთა დიდი ბელადის — გენიალური სტალინისადმი.

ბურჟუაზიული უკუდო, მოჩვენებითი დემოკრატიის უკანასკნელი ნაშთების განადგურების და ფაშიზმის მხეცური დიქტატურის ფონზე ამომავალ მზესავით თვალისმომჭრელად კიაფობს მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს კონსტიტუცია, მთელ მსოფლიოში, კაცობრიობის მთელ ისტორიაში ნამდვილად დემოკრატიული, ჰუმანური, ხალხური და სამართლიანი.

კიდეც ამიტომ მთელი მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრივი აზრი ესალმება ამ კონსტიტუციას. მთელი ჩვენი დიადი სამშობლოს მრავალერიანი ხალხი სიხარულს და ბედნიერებას მოუცავს. ხალხი მადლობელია, ხალხი აღფრთოვანებულია ამ კონსტიტუციის პროექტით, რომელშიაც ისტორიული პროჟექტორივით ანათებს სტალინის დიადი გენია და რომლის ყოველი სტრიქონიც საქვეყნოდ ღაღადებს ადამიანზე სტალინურ მზრუნველობას.

ამ პროექტმა, რომელიც იურიდიულად აფორმებს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო და სამუდამო გამარჯვების ბრწყინვალე შედეგებს, ხალხში, მშრომელთა ყველა ფენაში ერთსულოვანი მოწონება და გამოხმაურება ჰპოვა. ეს შემთხვევითი როდია. ეს იმიტომ მოხდა, რომ კონსტიტუციის პროექტი თვით წარმოადგენს ხალხის საერთო აზრის კონდენსირებულ გამოხატულებას და ასახავს საბჭოთა ხალხების მიერ განვლილი დიადი გზის მსოფლიო-ისტორიულ შედეგებს, საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა შეგნებულ, განუხრელ მისწრაფებას კომუნისტური საზოგადოებისაკენ.

მაგრამ ის ფაქტი, რომ მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ და ესალმებიან კონსტიტუციის პროექტს, სრულიადაც არ გულისხმობს, რომ მათ არ ჰქონდეთ რაიმე გასარკვევი საკითხები, დამატებანი ან შესწორებანი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით პროექტი გამოქვეყნდა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი პროექტი, ყოველი მისი მუხლი გულდასმით, დაწვრილებით, მკაფიოდ უნდა გავეცნოთ და განვუმარტოთ ყოველ მშრომელს, თვითეულ მოქალაქეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მშრომელთა აზრს, მათ შენიშვნებს, დამატებებს და შესწორებებს პროექტის გარშემო გულისხმიერად უნდა მოვეკიდოთ და მხედველობაში უნდა მივიღოთ. პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა ნიშნავს არა მარტო და არა მხოლოდ პროექტის საჯარო წაკითხვას, არამედ და უმთავრესად მშრომელთა აზრის, მათი შეხედულებების გამოთქმას, რაც უნდა ემყარებოდეს პროექტის ყოველი მუხლის სწორ და ზუსტ განმარტებასა და გაგებას.

და როცა საკითხს ამ თვალსაზრისით ვუდგებით, ვრწმუნდებით, რომ საქართველოში, განსაკუთრებით სოფლად, პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. იმ უამრავი მასალებიდან და შეკითხვებიდან, რომელიც „კომუნისტის" რედაქციას მოეპოვება, ირკვევა, რომ ბევრგან პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვას სცვლიან მისი მშრალი წაკითხვით, მშრომელთა შენიშვნების, შეხედულებების, შესწორებების გულდასმით მოსმენის ნაცვლად კმაყოფილდებიან საერთო ზოგადი მოწონებით. რასაკვირველია, პროექტის წაკითხვა და მოწონება კარგი საქმეა, მაგრამ ამით როდი ამოიწურება საკითხი. მთავარია მშრომელთა შენიშვნების და შესწორებათა ორგანიზაცია, პროექტის ნამდვილი, საქმიანი განხილვის ორგანიზაცია, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს მრავალი და მრავალი საინტერესო, ყურადსაღები წინადადებანი და მშრომელთა შემოქმედებითი ენტუზიაზმის შემდგომი აღმავლობა.

თუ რესპუბლიკურ და რაიონულ გაზეთებს დავუჯერებთ, — და მათ უნდა დავუჯეროთ, რადგან ისინი გამოხატავენ საერთო-საზოგადოებრივ აზრს, — საქართველოს მშრომელი მოსახლეობისათვის ღრმად და სერიოზულად ჯერ კიდევ არ გაუცვნიათ პროექტი და არ მოუწყვიათ მისი ნამდვილი გარჩევა-განხილვა. მთელი რიგი რაიონული გაზეთების (ქობულეთი, გურჯაანი, ლანჩხუთი და სხვ.) უკანასკნელი ნომრები ადასტურებს, რომ რაიონული გაზეთების რედაქტორებისათვის კონსტიტუციის პროექტის განხილვის საკითხი არც არსებობს. ისინი უფრო „დიდი" ამბებით არიან გართული და ამ „წვრილმან" საერთო-სახალხო საქმეს ივიწყებენ. საკუთარი საიუბილეო ალტაცებით გატაცებულს გორის და ლანჩხუთის რაიონულ გაზეთებს თითქმის სავსებით მიავიწყდათ ეს პირველხარისხოვანი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმე. ისეთი გაზეთებიც კი, როგორიც არის „საბჭოთა აჭარა" (ბათომი) და „სტალინელი" (ქუთაისი) ამ საკითხს საკმაო ყურადღებას არ აქცევენ და დამაკმაყოფილებლად არ აშუქებენ.

რით შეიძლება აიხსნას ასეთი უყურადღებობა ამ უაღრესად აქტუალური საკითხისადმი? მხოლოდ და მხოლოდ რედაქტორების „გულმავიწყობით", მათი თვითდამშვიდებით და იმით, რომ რაიონული პარტიული ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ როგორც გაზეთებს ამ საკითხში, ისე კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის მიმდინარეობას.

ბოლშევიკური პრესისათვის ამჟამად არ არსებობს იმაზე უფრო საპატიო, აქტუალური პოლიტიკური ამოცანა, ვიდრე კონსტიტუციის პროექტის ნამდვილი საქმიანი განხილვა. ბოლშევიკური გაზეთის ყოველი ნომერი, მისი ფურცლები მშრომელთა სიტყვებით, წერილებით, შესწორებებით და დამატებებით უნდა გამოსთქვამდეს მუშების, გლეხების, ინტელიგენციის და საერთოდ ყველა მშრომელის, მთელი ხალხის აზრს სტალინური კონსტიტუციის პროექტზე.

ჩვენ გვესაჭიროება კონსტიტუციის პროექტის ნამდვილად საქმიანი, ნამდვილად კონკრეტული, გულდასმითი გარჩევა, გაზეთების მხრივ ბოლშევიკური აგიტაციის და პროპაგანდის გაშლება. ახსნა-განმარტებითი მუშაობის მოწყობა, პროექტის ცალკე მუხლების პოპულარიზაცია და განმარტება. ჩვენ გვესაჭიროება არა წუთიერი ალტაცება და საერთო ტრაფარეტული მოწონება, არამედ მშრომელთა საქმიანი შენიშვნები და შეხედულებანი. ჩვენ გვინდა მოვისმინოთ და გავიგოთ ხალხის აზრი, რადგან ჩვენთვის სწორედ ეს აზრია ძვირფასი და საინტერესო, რადგან ჩვენი პარტიის ძლიერება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ყოველთვის ითვალისწინებდა და აფასებდა ხალხის აზრს, მუშათა და გლეხთა კოლექტიურ აზრს.

ქუთაისის პარტაქტივი

ამხ. ლ. ბერიას

ქუთაისის პარტიული აქტივის კრება, მიძღვნილი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის განხილვისადმი, მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნის თქვენ, დიდ სტალინის ღირსეულ მოწაფეს, ამიერკავკასიის და საქართველოს ბოლშევიკთა ნაცად და სახელოვან ხელმძღვანელს.

საქ. კ. პ. (ბ) ივნისის პლენუმი ერთერთ უბრწყინვალეს ფურცლად შევა სოციალისტური რევოლუციის ისტორიაში, ლენინ - სტალინის პარტიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიაში.

ახალი სტალინური კონსტიტუციის პროექტში ჩაწერილია ის გრანდიოზული გამარჯვებანი, რომელთაც ჩვენმა ქვეყანამ სტალინური ცენტრალური კომიტეტის წინამძღოლობით, ხალხთა ბელადის, გენიალური სტალინის წინამძღოლობით მიაღწია.

დიდ სტალინს ქვეყანა და პარტია მიჰყავს გამარჯვებიდან გამარჯვებამდე. ჩვენში მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია.

ურყევად და საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალიზმმა, რითაც ხორცი შეესხა კაცობრიობის საუკეთესო ადამიანთა ოცნებას საუცხოო მომავალზე. ახალი კონსტიტუცია ნამდვილად დემოკრატიული, გამარჯვებული ხალხის კონსტიტუციაა, რომელიც უზრუნველჰყოფს საბჭოთა კავშირის შემდგომ უმაღლეს აყვავებას.

ახალი კონსტიტუცია ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ტრიუმფის განსახიერებაა. საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური კავშირისა და თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ამიერ - კავკასიის ფედერაცია, შექმნილი ლენინ - სტალინის მიერ. ამიერ - კავკასიის ფედერაციის საშუალებით შესაძლებელი გახდა იმ შუღლისა და მტრობის აღმოფხვრა, რომელსაც ამიერ - კავკასიის ერებს შორის სთესდნენ მეფის დამქაშები, მენშევიკები, მუსავატელები და დაშნაკები. მრავალერიან ამიერ-კავკასიაში ხალხთა მეგობრული, ხელიხელჩაკიდებული თანამშრომლობა მტკიცე და ურყევი შეიქნა ნაციონალ - უკლონიზმის და საერთოდ ყოველგვარი ნაციონალისტური გადახრის განადგურების შედეგად.

სტალინური კონსტიტუციით საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკები უშუალოდ შედიან საბჭოთა კავშირში. ეს ახალი ისტორიული გამარჯვება მომზადდა იმ უდიდესი წარმატებებით, რომლებიც ამიერ - კავკასიის რესპუბლიკებმა მოიპოვეს თქვენი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით, ამხანაგო ლავრენტი.

ქუთაისის პარტიული აქტივი ბოლშევიკურ სიტყვას გაძლევთ, ძვირფასო ლავრენტი, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით და თავდადებით ვიბრძოლებთ თქვენს მითითებათა შესასრულებლად. სტალინურმა კონსტიტუციამ ჩვენში ჩანერგა ახალი ენერგია, რომელსაც მთლიანად მოვახმართ სოციალიზმის ბრწყინვალე საქმეს.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, ჩვენს დიდ სამშობლოს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა და მსოფლიო პროლეტარიატის დიდ ბელადს, ჩვენს მასწავლებელს, საყვარელ, მშობლიურ სტალინს!

გაგიმარჯოს შენ ა-კ და საქართველოს მშრომელთა მებრძოლო ხელმძღვანელო, ამხ. ლავრენტი!

აღდგენილი იქნება

აღმ. ჩინეთის რკინიგზის ყოფილ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის პენსიებისა და გამოსასვლელი დახმარების გაცემა

მოსკოვი, 28 ივნისი. საკ. დეპეშათა სააგენტოს მიერ მიღებული ცნობებით, მანჯოუ-გოს დიპლომატიური აგენტი ბ-ნი ში ლიუ-ბინი 22 ივნისს ეწვია სსრ კავშირის ხარბინელ გენერალურ კონსულს ამხ. მ. მ. სლავუცკის და აცნობა, რომ მანჯოუ-გოს მთავრობამ გასცა განკარგულება დაუყოვნებლივ განახლდეს აღმ.-ჩინეთის რკინიგზის ყოფილი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის — საბჭოთა მოქალაქეებისათვის გამოსასვლელი დახმარებისა და პენსიების გაცემა, რაც 16 აპრილს იქნა შეწყვეტილი. ამავე დროს ბ-ნმა ში ლიუ-ბინმა ამხ. სლავუცკის გადასცა ახალი მემორანდუმი სსრ კავშირის მთავრობისადმი სხვადასხვა კერძო პირის იმ პრეტენზიების საკითხზე, რომელთა უარყოფითაც, როგორც ეს აღნიშნულია საკ. დეპეშათა სააგენტოს 23 ივნისის ცნობაში, მანჯოუ-გოს მთავრობა თავის დროზე ასაბუთებდა ხსენებულ პენსიათა და დახმარებათა გაცემის შეწყვეტას. ამ მემორანდუმში მანჯურიის მთავრობა ეკამათება ა. წ. 14 მარტის იმ საბჭოთა მემორანდუმის დებულებებს, სადაც აღნიშნული იყო, თუ რა მიზეზებით უარჰყო საბჭოთა მთავრობამ კერძო პირთა ხსენებული პრეტენზიები 1 მილიონ 300 ათასამდე იენის თანხისა. მემორანდუმი თავდება განცხადებით, რომ თუ საბჭოთა მთავრობა მანჯურიის მთავრობას ამ პრეტენზიათა მთელ თანხას სამი თვის განმავლობაში არ აუნაზღაურებს, მაშინ მანჯურიის მთავრობა სათანადო თანხას გამოქვითავს აღმ.-ჩინეთის რკინიგზის გამოსყიდვის გადაუხდელი ღირებულებიდან.

მოსკოვის ინფორმირებულ წრეებში აღმ.-ჩინეთის ყოფილი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის პენსიათა და გამოსასვლელ დახმარებათა გაცემის განახლება მიაჩნიათ იმის შედეგად, რომ საბჭოთა მთავრობის მიმართვის გამო იაპონიის მთავრობამ ზეგავლენა მოახდინა მანჯოუ-გოს მთავრობაზე, რომელსაც, ალბათ, მიუთითა, რომ კერძო საბჭოთა მოქალაქეებისათვის მათი კუთვნილი თანხების გადახდის შეწყვეტა საბჭოთა მთავრობისადმი წარდგენილ პრეტენზიებთან, ისიც მეტად საეჭვო პრეტენზიებთან, დაკავშირებით, არღვევს არა მარტო აღმ.-ჩინეთის რკინიგზის უფლებათა დათმობის შესახებ 1935 წლის 23 მარტს დადებულ ხელშეკრულებას, არამედ სამართლის საყოველთაოდ მიღებულ ელემენტარულ ნორმებსაც. მოსკოვის აღნიშნულ წრეებში მიესალმებიან აღმ.-ჩინეთის რკინიგზის ყოფილი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის შეწყვეტილი ანაზღაურების გაცემის განახლებას, მაგრამ ამავე დროს გამოსთქვამენ გაკვირვებას, რომ მანჯურიის მთავრობა ითხოვს, რომ შეამციროს აღმ.-ჩინეთის რკინიგზის გამოსყიდვის ღირებულების ჯერ კიდევ გადაუხდელ ნაწილს, რათა დააკმაყოფილოს სრულიად დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო პრეტენზიები, რომელთა შესახებაც საბჭოთა მთავრობისათვის დღემდე არა თუ აბსოლუტურად არავითარი დოკუმენტალური ცნობები, არამედ ამ პრეტენზიათა უბრალო სია კი არ წარუდგენიათ. მოსკოვის ავტორიტეტულ წრეებში გამოსთქვამენ რწმენას, რომ იაპონიის მთავრობა, რომელმაც, როგორც ვიცით, იკისრა იმის გარანტირება, რომ მანჯოუ-გოს მთავრობა თავის დროზე და ზუსტად შეასრულებს ყველა თავის ვალდებულებას აღმ.-ჩინეთის რკინიგზის გამოსყიდვის თანხის გადახდაში, — ერთხელ კიდევ ჩაერევა ამ საქმეში და არ დაუშვებს აღმ.-ჩინეთის რკინიგზის უფლებათა დათმობის შესახებ 1935 წლის 23 მარტს დადებული ხელშეკრულების ახალ და კიდევ უფრო სერიოზულ დარღვევას. (ალს).

◇ ◇ ◇

კიდევ ერთი არალეგალური ფაშისტური ორგანიზაცია

ვარშავა, 28 ივნისი. გაზეთი „გონეც ვარშავსკი" იუწყება, რომ ტარნოვეის გურში (ზემოსილეზია) პოლონეთის ხელისუფლებამ აღმოაჩინა კიდევ ერთი ჰიტლერული საიდუმლო ორგანიზაცია. ეს ორგანიზაცია თავს იფარავდა გერმანული ლეგალური კლუბის „ტარნოვიცერ ვანდერბუნდის" იარლიყით. ამ ორგანიზაციის წევრები თავის საიდუმლო კრებებზე ფიცს აძლევდნენ ჰიტლერს და სწავლობდნენ სამხედრო საქმეს. ორგანიზაცია მოწყობილი იყო გერმანიაში არსებული ფაშისტური ორგანიზაციების ტიპის მიხედვით. სწარმოებს დაპატიმრებანი და, კვლევა-ძიება. აღმოჩენილი ორგანიზაციის 10 წევრმა მოასწრო გერმანიას გაქცევა (ალს).

◇ ◇ ◇

ახალი ინციდენტი ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის საზღვარზე

პრაღა, 28 ივნისი. გაზეთები იუწყებიან ახალი ინციდენტის შესახებ ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის საზღვარზე. 26 ივნისს ბად ელსტერში (გერმანიაში) გერმანიის პოლიციამ სამსახურის მოვალეობათა შესრულების დროს დააპატიმრა ჩეხოსლოვაკელი მესაზღვრე მოხელე და წაიყვანა გერმანიაში. დაპატიმრების მიზეზები არ იციან. გაზეთების ცნობით ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ახსნა-განმარტებას მოსთხოვს გერმანიის ხელისუფლებას. (ალს).

□ □ □

სისხლის ღვრა ცეტინიეში

ვენა, 28 ივნისი. ბელგრადიდან იუწყებიან, რომ ქალაქ ცეტინიეში (მთაშავეთი), გუშინ მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება 500 გლეხსა და ჟანდარმებს შორის. შეტაკება მოხდა იმის გამო, რომ მოუსავლიანობით დაზარალებულ გლეხებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა შეეტანათ გადასახადი და გადასწყვიტეს მშიერთა ლაშქრობის მოწყობა ქალაქ ცეტინიეზე. პოლიციამ სცადა გაეფანტა დემონსტრანტები და სროლას ასტეხა, რის დროსაც მოჰკლეს ორი გლეხი და მძიმედ დასჭრეს 18. დააპატიმრეს 35 კაცი (ალს).

◇ ◇ ◇

პოლონეთის პრემიერი იწონებს პოლიციის მოქმედებას

ვარშავა, 28 ივნისი. „ეკსპრეს პორანი" იუწყება, რომ პრემიერმა სლავოი-სკლადკოვსკიმ მადლობა გამოუცხადა ლვოვის პოლიციის უფროსს „პოლიციის ნაწილების მიზანშეწონილი და მარჯვე გამოყენებისათვის, გაფიცვისა და მისი ლიკვიდაციის დროს ლვოვში, რამაც შესაძლებელი გახადა წესრიგის დაცვა". (ალს)

მდ. ვოლგა წავიდა ახალი არხით

28 ივნისს ვოლგა-მოსკოვის არხის მშენებლობაზე ააფეთქეს ზღუდარები, რომლებიც იცავდნენ გიგანტურ საგუბარს მდ. ვოლგის არხში შესასვლელთან. სურათზე: ამხ. იაგოდა (შუაში) ათვალიერებს № 21 საგუბარის მშენებლობას.

მუშები მიესალმებიან კანონს აბორტის აკრძალვის შესახებ

ავეჯის ფაბრიკა

კანონი აბორტის აკრძალვისა და მშობიარეთათვის დახმარების გაწევის შესახებ ჩვენი ლამაზი და სასიხარულო ცხოვრების ფაქტი გახდა. ტფილისის ამხ. მოლოტოვის სახელობის ავეჯის ფაბრიკის მშრომელებმა, რომლებიც 29 ივნისს კანონის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით გამართულ მიტინგზე შეიკრიბნენ, უდიდესი კმაყოფილება გამოსთქვეს ამ კანონის გამოქვეყნების გამო.

შემკრებ საამქროს ოსტატი ართაქაზ მურადოვი განსაკუთრებით მიესალმა სახელმწიფო დახმარების დაწესებას მრავალშვილიანი დედებისათვის და დახმარების მიცემას იმ ოჯახებისათვის, რომლებსაც უკვე ჰყავთ ბავშვთა სათანადო რიცხვი.

ცეხის ინჟინერმა ამხ. ი. ცალკიხმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ 2.174,1 მილიონი მანეთი, გაღებული საბავშვო კერებისა, ბაგებისა და ბაღებისათვის, ნაცვლად იმავე საჭიროებისათვის 1936 წელს გადადებული 875 მილიონი მანეთისა, საგრძნობლად გააუმჯობესებს დედისა და ბავშვის მდგომარეობას, გააუმჯობესებს ბავშვთა მეთვალყურეობას და მძლავრად შეასუსტებს ქუჩის გავლენას.

ტფილისის საამქროს მუშა ადელინა ხერარი ამბობს, რომ მშობიარეებისა და ბავშვის კვებისათვის დახმარების ოდენობის გადიდება საგრძნობ დახმარებას წარმოადგენს. კარგია, მოსამსახურე-ქალები ორსულობის დროს შეღავათების მხრივ გათანასწორებული რომ არიან მუშა-ქალებთან. ჩვენ ერთნაირად ვზიდავთ მშობიარობის ტვირთს—ერთნაირი უნდა იყოს დასვენებაც.

აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა

ტფილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მუშები ცვლების მიხედვით გაეცვნენ ახალ კანონს აბორტის აკრძალვის და მშობიარეთათვის დახმარების გაწევის შესახებ.

ფაბრიკის ათასიანი კოლექტივი, მიესალმება რა აბორტის აკრძალვას, აღნიშნავს, ეს ღონისძიება მრავალ ქალს ჯანმრთელობას და სიცოცხლეს შეუნარჩუნებსო.

მექანიკური საამქროს მექანიკოსი არისტარქ სამსონაძე ამბობს: „ახალი კანონი — ხალხის ხმაა. მთელი თვის განმავლობაში მშრომლები იხილავდნენ პროექტს, მათ მრავალი სურვილი გამოსთქვეს, მათი ხმა გაიგონეს და მთელი რიგი ცვლილება იქნა შეტანილი პროექტში. მშრომელებს ახარებთ კიდევ ის გარემოება, რომ ახალი კანონი მოწმობს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას, რაც თანდათანობით მატულობს".

სტახანოველმა მუშა-ქალმა სალარიძემ განაცხადა: „ჩვენ არა გვყავს უმუშევრები, მშრომელები არ შიშობენ ოჯახის მომავლისათვის, დედაც და ბავშვიც უზრუნველყოფილი იქნებიან".

კანონი მოწმობს, რომ ცხოვრება საამური გახდა, — ამბობს სტახანოველი მუშა-ქალი დანიელოვა. განმტკიცდა ქალის მდგომარეობა. ქალს არ ეშინია, რომ მიატოვებს ქმარი, არ ეშინია მაშინაც კი, როცა მას შვილები ჰყავს.

საბავშვო ბაგების გასაუმჯობესებლად, სადაც ამჟამად 100 ბავშვი იმყოფება, და საბავშვო მოედნის მოსაწყობად ფაბკომმა 15.000 მანეთი გაიღო.

ტფილისის რკინიგზის კვანძზე

განსაკუთრებით მხურვალედ და სიხარულით შეხვდნენ ტფილისის რკინიგზის კვანძის მუშები სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილებას აბორტის აკრძალვის და მშობიარეთათვის დახმარების გაწევის შესახებ.

კვანძის ყველა საწარმოში გაიმართა გაცხოველებული მრავალრიცხოვანი მიტინგები, რომლებიც მუშათა გამოსვლების უმაღლესი აქტივობით გამოირჩეოდნენ.

სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ელექტრომავალთა სარემონტო ქარხნის შემკრებ, ჩამომსხმელ და სატენდერო საამქროებში გამართულ მიტინგებზე გამოვიდა 41-ზე მეტი მუშა. ისინი ერთსულოვნად მიესალმნენ ახალ კანონს, რომელიც საბჭოთა ოჯახის შემდგომი განმტკიცების მძლავრ იარაღს წარმოადგენს.

შემკრებ საამქროს მუშა-ქალმა ნინა ლუცენკომ მხურვალე, სიყვარულით გამსჭვალულ სიტყვაში სთქვა:

— მე ჯერ კიდევ გუშინ წავიკითხე სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება. დღეს შევკრიბე ჩვენი საამქროს ყველა მუშა-ქალი და დილით ადრე, საყვირამდე, გავაცანით მათ ახალი კანონი. კრებაზე გამოცხადდა 46 მუშა-ქალი. ჩვენს მხურვალე დედობრივ მადლობას ვუცხადებთ მთავრობას, პარტიას და ხალხთა დიდ ბელადს ამხ. სტალინს ახალი კანონისათვის.

შემკრებ საამქროს დამლაგებელმა, ქალმა ამხ. მარო ფურცელაძემ, რომელიც მიესალმა კანონს, აღნიშნა რომ იგი გააჯანსაღებს ოჯახს და ურთიერთდამოკიდებულებას მშობლებს შორის. კანონის ძირითადი ძალა იმაში მდგომარეობს, რომ, იცავს რა დედებს, იგი ამასთან ერთად უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს მათ შვილებისათვის, ჩვენი ქვეყნის ჯანსაღი, უშიშარ ადამიანთა მომავალი თაობისათვის.

ამხ ხორელი (მღებავი) აღნიშნავს, რომ ახალი კანონი ჰქმნის [illegible] გზას მტკიცე, შემჭიდროებული, შეხმატკბილებული და ჯანსაღი ოჯახის შესაქმნელად, რწმენას უნერგავს მშობლებს, რომ მათი შვილები სიყვარულის და მზრუნველობის ატმოსფეროში იქნებიან.

ჩამომსხმელ საამქროში მოწყობილ მიტინგზე პირველი გამოვიდა ორდენოსანი ამხ. როდიონოვა. ახალი კანონი, — ამბობს იგი, — კიდევ უფრო განამტკიცებს ოჯახს. მე პირობას ვიძლევი, რომ წარმოებაში მუშაობისგან, მთელ თავისუფალ დროს მოვახმარ საზოგადოებრივ მუშაობას ბავშვთა შორის, მათ აღზრდას.

მიტინგები აგრეთვე გაიმართა ტფილისის სადგურზე, ტფილისის დეპოში და კვანძის სხვა საწარმოებში. გამოსული ორატორები აღფრთოვანებით აღნიშნავდნენ, რომ კანონი წარმოადგენს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტს, იმის აშკარა გამოხატულებას, რომ ჩვენი პარტია, მთავრობა და დიდი სტალინი ზრუნავენ ჩვენი მშვენიერი ქვეყნის ადამიანებზე. (ალს)

◇

გამარჯვებული რაიონები

ტელეგრაფით „კომუნისტის" რედაქციას

ბორჩალო, 28 ივნისი. პარკის დამზადების გეგმა ბორჩალოს რაიონმა 25 ივნისისათვის 104 პროცენტით შეასრულა. დამზადებულია 5.871 კილოგრამი. მოწინავე სტახანოველმა მეაბრეშუმეებმა ვალი ჰასან-ოღლიმ, მაგრაფინ მელიქიანმა, სამველ აირაბედიანმა, მასმა ბაირამყიზიმ და სეირან მამედოვმა თვითეული კოლოფი თესლიდან სახელმწიფოს ჩააბარეს 70 კილოგრამზე მეტი საუკეთესო ხარისხის პარკი. დამზადება გრძელდება.

რაიკომის მდივანი ცეხაძე.

○

სიღნაღი, 28 ივნისი. სიღნაღის რაიონმა პარკის დამზადების გეგმა შეასრულა. დამზადებულია 28.640 კილოგრამი ანუ გეგმის 100,5 პროცენტი. დამზადება გრძელდება.

რაიაბრეშუმის გამგე მჭედლიშვილი.

○

წულუკიძე, 29 ივნისი. წულუკიძის რაიონმა აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა 28 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული იყო 1.665 ცენტნერი პარკის დამზადება, სინამდვილეში დამზადებულია 1.668 ცენტნერი, რაც დავალების 100,2 პროცენტს უდრის. პარკის ხარისხი შარშანდელთან შედარებით გაცილებით უკეთესია. დამზადება გრძელდება.

რაიკომის მდივანი თალაკვაძე.

რაიაღმასკომის თავმჯდომარე ნადარეიშვილი.

○

გურჯაანი, 29 ივნისი. 28 ივნისისათვის პარკის დამზადების რაიონული გეგმა — 38.700 კილოგრამი — შესრულებულია 100 პროცენტით. ვიბრძვით იმისათვის, რომ მთლიანად შევასრულოთ ამხ. ლ. ბერიასთვის მიცემული დაპირება თვითეულ კოლოფ აბრეშუმის თესლიდან საშუალოდ 50 კგრ. პარკის მიღების შესახებ.

რაიკომის მდივანი კოპლამაზაშვილი.

რაიაღმასკომის თავმჯდომარე ოქროპირიძე.

◇ ◇ ◇

პირველად გალეწილი ხორბლეული — სახელმწიფოს

ყვარელი, 29 ივნისი. ახალსოფლის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობამ „ზაგოტზერნოს" მუკუზნის პუნქტს სახელმწიფო გეგმის ანგარიშში პირველმა მთელს რაიონში ჩააბარა 900 კილოგრამი ქერი. მარცვლეულის ჩასაბარებლად ემზადებიან კოლმეურნეობები „მესვეური", „დრუჟბა", „განათლება" და სხვები.

რაიკომის მდივანი დ. აფციაური

ბორჩალომ შეასრულა თივის აღების გეგმა

ბორჩალო, 29 ივნისი. ბორჩალოს რაიონის კოლმეურნეობებმა და ერთპიროვნულმა მეურნეებმა თივის აღების გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. გათიბულია იონჯა 1.142 ჰექტარზე — გეგმის 107 პროცენტით, ბუნებრივი სათიბები 2.312 ჰექტარი — გეგმის 121 პროცენტი. თიბვა გრძელდება.

რაიკომის მდივანი ცეხაძე.

საბჭოთა კავშირში

აბორტების აკრძალვისა და მშობიარეთათვის მატერიალური დახმარების გადიდების კანონს დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ

ლენინგრადი, 28 ივნისი დღეს ლენინის სახელობის მანქანათმშენებლობის ქარხნის მუშები და მუშა-ქალები გულმხურვალედ მსჯელობდნენ მთავრობის დადგენილებაზე აბორტების აკრძალვისა და მშობიარეთათვის მატერიალური დახმარების გადიდების შესახებ.

ქარხანა „ბოლშევიკის" მუშებმა და მუშა-ქალებმა ფრიად აქტიური მონაწილეობა მიიღეს დადგენილების განხილვაში. მუშა-ქალმა ციბინამ განაცხადა: „დედაჩემმა შვა 11 ბავშვი. იგი ახლა 69 წლისაა, მაგრამ სავსებით ჯანმრთელია. მე კი აბორტის გაკეთების შემდეგ დავსნეულდი. მყავს ოთხი ბავშვი, სამი მათგანი უკვე სწავლობს. აბორტის აკრძალვის კანონს შეიძლება მხოლოდ მივესალმო.

ყველა გამოსულმა ერთსულოვნად გამოსთქვა ის აზრი, რომ ახალი კანონი მიაჩნიათ პარტიისა და მთავრობის უდიდეს მზრუნველობად ქალზე, დედასა და ჩვენი ბედნიერი სამშობლოს ბავშვებზე.

კიევი, 28 ივნისი. საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის მშრომელნი დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ საკავშირო მთავრობის დადგენილებას აბორტის აკრძალვის, მშობიარეთათვის მატერიალური დახმარების გადიდებისა და სხვ. შესახებ. საწარმოთა მუშები და მუშა-ქალები მხურვალედ ესალმებიან ამ დადგენილებას და თავის მიტინგებზე გამოსთქვამენ უსაზღვრო მადლობას ადამიანზე სტალინური მზრუნველობისათვის.

დადგენილებას მხიარულად შეხვდა წითელდროშოვანი ქარხნის ძველი მუშის ამხ. ტესლენკოს ოჯახი.

— მე ვზრდი 9 ბავშვს, უმცროსი მხოლოდ ერთი წლისაა, — ამბობს ტესლენკოს ცოლი, მარიამ დიმიტრის-ასული. — ჩემი ბავშვები დაიბადნენ ბედნიერ სტალინურ ეპოქაში. ისინი გრძნობენ არა მარტო თავისი მშობლების მზრუნველობას, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის მზრუნველობასაც. მინდა ულრმესი მადლობა ვუძღვნა ბრძენ ბელადს ამხანაგ სტალინს

ვადამდე შეასრულეს ნახევარი წლის გეგმა

მოსკოვი, 28 ივნისი. სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს უფროსის, კორპუსის უფროსის ამხ. ტკაჩოვის, ამხანაგების სტალინისა და მოლოტოვის სახელზე გამოგზავნილ პატაკში იუწყება, რომ სატრანსპორტო ავიაციამ მუშაობის პირველი ნახევარი წლის გეგმა ვადამდე შეასრულა.

27 ივნისისათვის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ნაფრენი შეადგენს 8.088 ათას ტონა-კილომეტრს (ნახევარი წლის გეგმა იყო 8 მილიონი).

შარშან პირველ ნახევარ წელიწადში სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ნაფრენი 3.953 ტონა - კილომეტრს შეადგენდა.

ამასთან ერთად სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სტახანოველებმა მიაღწიეს ავარიათა რიცხვის საგრძნობლად შემცირებას (ალს).

სარკინიგზო მიმოსვლა დასავლეთ ევროპის ქალაქებთან

მოსკოვი, 28 ივნისი. სსრ კავშირის, პოლონეთის, გერმანიის, ბელგიისა და საფრანგეთის რკინიგზების და საძინებელი ვაგონების საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენელთა გადაწყვეტილებით 1 ივლისიდან მოსკოვ—პარიზის მარშრუტით იქნება ახალი წყვილი საკურიერო მატარებელი. მოსკოვსა და ნეგორელოეს შორის ივლის საკურიერო მატარებელი № 3/4 სადგურ ნეგორელოედან ვარშავასა და ბერლინზე გავლით პარიზამდე და უკან ივლის „ნორდ-ექსპრესი". ცხრილი შედგენილია იმ ანგარიშით, რომ მგზავრს სსრ კავშირის და პოლონეთის საზღვარზე მისვლისთანავე შეეძლოს გადაჯდეს ერთი მატარებლიდან მეორეში.

მოსკოვიდან პარიზამდე მოგზაურობას დასჭირდება 42 საათი და 55 წუთი — 15 საათით ნაკლები, ვიდრე ახლა.

ახალი მიმოსვლა აგრეთვე ძალიან სახეიროა იმ მგზავრებისათვის, რომლებიც მოსკოვიდან მიემგზავრებიან პრაღასა, ვენასა, რიგასა და ევროპის სხვა ქალაქებში. ვენიდან და პრაღიდან მოსკოვისაკენ მომავალი მგზავრები, რომლებიც ვარშავაში გადასხდებიან ხოლმე, მგზავრობას მოანდომებენ დაახლოვებით 38 საათს, ნაცვლად 47 საათისა, რომელსაც ამჟამად ანდომებენ (ამჟამად მატარებლის მოლოდინში მათ უხდებათ ღამის გათევა ვარშავაში).

„ნორდ-ექსპრესს" ექნება ერთი საბარგო ვაგონი, ერთი ვაგონ-რესტორანი და საძინებელი ვაგონების საერთაშორისო საზოგადოების ვაგონები. (ალს).

საქართველოს

სტალინური კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო სახალხო განხილვა

სახალხო ბედნიერების კონსტიტუცია

[illegible] ისე არასოდეს არ მიგრძვნია, როგორც ახლა, როცა მინდა გამოვხატო სტალინური კონსტიტუციის მიერ აღძრული სიხარული. რა ვუწოდო მას? უდიდესი სიხარული? ეს ცოტაა. უდიდესი სიხარული ჩვენ არა ერთხელ და ორჯერ გვიგრძნია. ეს გრძნობა მკვეთრად განსხვავდება დღემდე განცდილი გრძნობებისაგან. მისი განსხვავება მის მასობრიობაშია. კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში არ შეიძლება მასობრივი სიხარულის გამომწვევი რაიმე ფაქტი მოხდეს. ერთი კლასის აღმაფრენის მიზეზი მეორეს სიმწარეს განაცდევინებს. სულ სხვაა ჩვენში, უკლასო სოციალისტურ საზოგადოებაში. სტალინური კონსტიტუციის პროექტი ერთნაირად ახარებს საბჭოეთის ხალხებს. იგი საყოველთაო ბედნიერებაა. რა შეიძლება ამაზე საამური იყოს?

სტალინური კონსტიტუციის სიძლიერე იმაშია, რომ მის შემუშავებაში ხალხი ღებულობს მონაწილეობას. საბჭოთა კავშირის ყოველ მოქალაქეს შეუძლია აზრი გამოსთქვას, ცვლილებები შეიტანოს კონსტიტუციის პროექტში. ეს ხომ ისტორიაში გაუგონარი ამბავია.

და აი, მეც შემომაქვს წინადადება. ჩემს ოჯახში 6 პარტიზანია. სამი მცირეწლოვანი შვილი 1917-1918 წლებში სამოქალაქო ომის დროს მომიკლეს ჩრდილოეთ-კავკასიაში. ერთი ძმა, რომელიც სწორედ ამ კონსტიტუციის მოპოვებისათვის იბრძოდა, სოციალისტური ქონების გამნიავებლებს სდევნიდა, 1934 წელს კლასობრივი მტრისაგან იქნა მოკლული. მე დღესაც მზად ვარ, თუ საჭირო იქნება, სოციალიზმის საქმეს შევწირო თავი.

საჭიროდ მიმაჩნია კონსტიტუციაში პირადი რევოლუციური დამსახურების მომენტი რითიმე აღინიშნოს.

მეორე მხრივ მე არ შემიძლია შევურიგდე იმ გარემოებას, რომ არჩევნებში ჩემსა და მღვდელს შორის განსხვავება არ არის. მღვდელი ხომ მშრომელი არ არის და როგორ შეიძლება არამშრომელი მონაწილეობდეს მშრომელთა საბჭოების არჩევნებში. წინადადება შემომაქვს „სულიწმინდა მამებს" ჩამოერთვათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

არსენა ბაზალაშვილი.

„წითელი პარტიზანი."

◇ ◇ ◇

ბედნიერებით მოხუცის გულიც სავსეა...

უკვე სამოცი წლისა ვარ. 40 წელიწადია ვეტფერშლად ვმუშაობ. დღენი ჩემი ცხოვრებისა შრომაში გამიტარებია, მოვსწრებივარ მრავალ დროებას, თვითმპყრობელობის შავბნელ ჟამს, მენშევიკთა ბანდიტურ ხელისუფლებას, და მაშინ ყოველთვის ჩემი გაჩენის დღეს ვწყევლიდი. მონური შრომა მძიმე უღლად მაწვა კისერზე, ჩემი მრავალრიცხოვანი ოჯახი აუტანელი ტვირთი ხდებოდა, წვრილშვილის პატრონს, შრომით წელში გაწყვეტილს ოჯახის სარჩენად ლუკმაპური ვერ მეშოვნა განა ეს ცხოვრება იყო!

... მალე მშრომელთა ბედნიერების მზემ კაშკაშა სხივები მოჰფინა დედამიწის ერთ მეექვსედს. მოვესწარ საამურ და ბედნიერ ცხოვრებას. აი ამ მშვენიერი ცხოვრების უტყუარი დოკუმენტი სსრკ კონსტიტუციის ახალი პროექტია. წავიკითხე სტალინური კონსტიტუცია და სამოცი წლის გული მოხუცისათვის უჩვეულო მგზნებარე სიხალისით აღმევსო.

ჩემს ოჯახში ზეიმი და სიხარულია, როდესაც ჩემი შვილები თავს მოიყრიან. რა პროფესიისა და საქმის კაცი გნებავთ მაშინ ჩემს ოჯახში არ ნახოთ: მასწავლებელი, ინჟინერი, მათემატიკოსი, მფრინავი, ორდენოსანი რეკორდსმენი, სტუდენტი და მოწაფე ყველანი აქ არიან.

ყველა მათგანი თავისი საქმის ერთგულია და საბჭოთა მოქალაქის სახელს ღირსეულად ატარებს. ასეთი მშვენიერი, მრავალრიცხოვანი ოჯახი გაიფურჩქნა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს.

მიხარია, რომ რვა შვილი გამოვუზარდე მსოფლიოში ყველაზე უკეთესს, შრომის დიად ქვეყანას, რომ ისინი ერთგულნი არიან სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის და არასოდეს არ შეარცხვენენ თავის ოჯახს, თავის სამშობლოს დიდს, როდესაც კი საჭირო იქნება დარწმუნებული ვარ ჩემი რვა შვილი (6 ვაჟი და 2 ქალი) უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს ჩვენი ქვეყნის საზღვრების დასაცავად, მუხთალი მტრის გასანადგურებლად.

მე კი, მოხუცს, აბა რაღა მეთქმის, გარდა გულითადი მადლობისა, ძვირფასი ბელადის, გენიოსი ადამიანის ამხ. სტალინის მიმართ, რომლის ხელმძღვანელობითაც შედგენილია საამური ცხოვრების ახალი კონსტიტუცია. მოხუცებულს უწინ ვინ დამიფასებდა შრომას. ამდენ მზრუნველობას ვინ გამოიჩენდა ჩემი ოჯახისადმი. 40 წლის ერთგული მუშაობა ღირსეულად დამიფასეს, დამაჯილდოვეს სამოთახიანი ბინით, სადაც ჩემს სიცოცხლეს, ჩემს ოჯახთან ერთად სიტკბოებით ვატარებ. აი როგორი მზრუნველობით და პატივისცემით ეპყრობიან ადამიანებს ჩვენს ქვეყანაში... მაშ რატომ არ უნდა მიხაროდეს. რატომ ახალგაზრდულად არ უნდა ვზეიმობდე ახალი ცხოვრების მომსწრე მოხუცი!

ჩემთან ერთად ჩემი ოჯახი აღფრთოვანებულია. სტალინური კონსტიტუციის ყოველ სიტყვას, ყოველ წინადადებას ჩემს მოხუცებულ გულში სიცოცხლე და სიახალგაზრდავე შეაქვს. ჩემს ოჯახში ბედნიერება და სიხარულია.

სერგო ბუილლიშვილი.

ტაბახმელის ხორკომბინატის ფერმის ვეტფერშალი.

ტფილმაშრობის ცენტრალური ფურნე. პროფორგი ამხ. ელბაქიძე ესაუბრება მუშებს ახალ კონსტიტუციაზე.

პოეტური შემოქმედების მწვერვალებისაკენ

ახალი კონსტიტუცია არის ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისა და მშრომელთა ეკონომიურ-კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესების შედეგი. ამ კონსტიტუციის გამოქვეყნებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საბჭოთა კავშირის მშრომელთათვის, არამედ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისთვის, რადგან იგი არის დოკუმენტი ერთს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისა.

ნამდვილი დემოკრატია ხორციელდება მხოლოდ სტალინური კონსტიტუციით, რომელიც ქმნის პირობებს ქვეყნის შემდგომი აღორძინებისა და აყვავებისათვის.

სავსებით დროულ და მიზანშეწონილ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს, ჩემის აზრით, ა.-კ. ფედერაციის ლიკვიდაცია. ამიერ-კავკასიის ფედერაციამ უაღრესად დიდი როლი შეასრულა მასში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ, კულტურულ და პოლიტიკურ აღორძინებისთვის. იგი ის ინსტრუმენტი იყო, რომლის საშუალებითაც ხორციელდებოდა მრავალეროვან ამიერ-კავკასიაში ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკა. განმტკიცდა და ურღვევი გახდა სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს მშრომელთა ძმური ინტერნაციონალური კავშირი. საბჭოთა საქართველოს ლიტერატურა ხელმისაწვდომი გახდა სომხეთის და აზერბეიჯანის მშრომელთათვის, სომეხი და თურქი მწერლები დაიბეჭდნენ ქართულად და ა. შ.

ეს ყველაფერი გაკეთდა, ეროვნული მშვიდობიანობა და ძმური ინტერნაციონალური კავშირი ამიერ-კავკასიის ერთაშორის საბოლოოდ განმტკიცდა. ამიერიდან, ახალი კონსტიტუციის მიღებისა და დამტკიცების შემდეგ, საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი უშუალოდ შევლენ საბჭოთა კავშირში. ეს გარემოება, უთუოდ კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს თვითეული ამ რესპუბლიკის კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებას.

არსად, არცერთ ქვეყანაში ლიტერატურა და ხელოვნება ისეთ საპატიო მდგომარეობაში არაა, როგორც საბჭოთა კავშირში. ლიტერატურა და ხელოვნება ჩვენში ერთერთი ისეთი ძლიერი საზოგადოებრივი მოვლენათაგანია, რომელიც ასრულებს მნიშვნელოვან როლს ადამიანთა სოციალისტურ აღზრდაში.

ჩემზე, როგორც პოეტზე, ახალი კონსტიტუცია ახდენს აღმაფრთოვანებელ შთაბეჭდილებას. პერსპექტივაში მესახება ახალი პოეტური პრობლემების გადაჭრა და ვიცი, რომ სოციალისტური ხელოვნების მნიშვნელობა ამიერიდან კიდევ უფრო დიდი ხდება. ეს გარემოება ჩვენ — პოეტებს, მხატვრებს, ხელოვნების მუშაკებს გვაკისრებს დიდ პასუხისმგებლობას მომავალში, ბედნიერი შთამომავლობის წინაშე.

ალიო მაშაშვილი.

◇ ◇ ◇

სოციალიზმის დიდი შემოქმედება

სტალინური კონსტიტუციის პროექტს უდიდესი ენტუზიაზმით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის მშრომელთა მასები. ეს სავსებით გასაგებია.

კონსტიტუცია წარმოადგენს ბრწყინვალე შედეგს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს უდიდეს მიღწევებისა სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე.

საოცრად გაიზარდა და დღითიდღე იზრდება საბჭოთა კავშირი. კოლექტივიზირებულია სოფლის მეურნეობა. შექმნილია მძლავრი ინდუსტრია. ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს სოციალიზმის დაუძლეველ სიმაგრეს.

დღეს ყოველი მშრომელი განსაკუთრებული სიხარულით განიცდის იმ გრძნობას, რომელიც ღრმად და ვაჟკაცურად გამოსთქვა საბჭოთა კავშირის უნიჭიერეს პოეტმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ ლექსში „საბჭოთა პასპორტი" საბჭოთა მშრომელი ამაყობს მით, რომ ის საბჭოთა მოქალაქეა.

კონსტიტუციის პროექტში ასახულია საბჭოთა მოქალაქეების უფლებები. ჩვენი ქვეყანა ადის განვითარების ახალ საფეხურზე.

იმ დროს, როდესაც განწირული კაპიტალისტური მსოფლიო ფაშიზაციის გზით ცდილობს დაღუპვის [illegible] აცდენას — საბჭოთა კავშირი ამყარებს უფართოეს დემოკრატიას. სტალინური კონსტიტუცია ამის უდიდესი დოკუმენტია.

კონსტიტუციის პროექტში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირი თავშესაფარს აძლევს ყოველ უცხოელს, ლტოლვილს რევოლუციურ მოღვაწეობის გამო. ან ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლს. ამრიგად საბჭოთა კავშირი გამოდის მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა სამშობლოდ, რომელსაც უდიდეს იმედით შეჰყურებენ ყველა ხალხები, საბჭოთა კავშირი ხდება კიდევ უფრო დიდ მორალურ ძალად.

კონსტიტუცია ხაზს უსვამს საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა უფლებებს და მოვალეობებს.

ყოველი ჩვენგანი უდიდესი სიხარულით შეასრულებს თავის მოვალეობას. საბჭოთა კავშირი დგას აყვავების ფართო გზაზე. მის აღორძინებას ხელს ვერ შეუშლის ვერც შინაგანი, ვერც გარეშე მტერი!

სტალინური კონსტიტუციის გამოქვეყნება ენერგიას ჰმატებს ყოველ შემოქმედს.

ჩემს მოვალეობად ვთვლი, როგორც მხატვარი და შემოქმედი, ვემსახურო ხელოვნების იარაღით დიადი კონსტიტუციის ყოველ მუხლს.

მიხეილ ჭიაურელი.

მოსამართლეთა გადაყენების უფლება

საჭიროდ მიმაჩნია ახალი კონსტიტუციის პროექტში ზოგი შესწორების შეტანა.

პირველი შესწორება შეეხება მოსამართლის მუშაობას. მოსამართლეებს კონსტიტუციის თანახმად ვირჩევთ მშრომელნი სამი წლის ვადით. შესაძლებელია არჩევის შემდეგ რამდენიმე ხნის გავლისას ვსცანით, რომ მოსამართლე ვერ ამართლებს თავის მოწოდებას. როგორ უნდა მოვიქცეთ მაშინ? ასეთი მდგომარეობა კონსტიტუციაში გათვალისწინებული არ არის და ამიტომ არც ისაა აღნიშნული, თუ რა უფლებები აქვთ ამგვარ შემთხვევაში ამომრჩევლებს.

საჭიროდ მიმაჩნია, კონსტიტუციის 109 მუხლს დაემატოს: „თუ ამორჩეულმა მოსამართლემ ამომრჩეველთა ნდობა ვერ გაამართლა, მშრომელთ შეუძლიანთ მოითხოვონ ასეთი მოსამართლის გადაყენება და ხელახალი არჩევა".

[illegible] აგრეთვე, თუ როგორ უნდა მოხდეს დეპუტატთა არჩევნები და სადეპუტატო კანდიდატების დასახელება (მუხლი 141), მაგალითად, ვირჩევთ საქალაქო საბჭოს. თუ კანდიდატთა საერთო-საქალაქო სია წინასწარ შეთანხმდა, ეს მიუღებელი იქნება. ჩვენს ქარხანაში გვყავს, მაგალითად, კარგი სადეპუტატო კაცი, რომელიც ამა თუ იმ მიზეზით ვერ მოხვდა საქალაქო სიაში. მაშინ მას არავინ აირჩევს და ამით ჩვენი ქარხნის მუშათა ინტერესი შეილახება.

თუ კანდიდატები ადგილობრივ უნდა იქნენ დასახელებული, მაშინ მიზანს შეიძლება ვერ მივაღწიოთ, რადგან ერთი დეპუტატის ასარჩევად საჭირო ხმათა რაოდენობა იქნებ ქარხანაში ვერ შევაგროვოთ.

საჭიროა ამ საკითხზე კონსტიტუციაში ითქვას უფრო გარკვევით.

ელექტრო-მექანიკოსი

სოლომონ კინწურაშვილი.

◇ ◇ ◇

ახალი ენერგიით...

საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია სოციალიზმის გამარჯვების შედეგია. მე გულდასმით წავიკითხე და შევისწავლე მისი თვითეული მუხლი. აღტაცებაში მომიყვანა სტალინურმა ზრუნვამ ადამიანზე, რომელიც კონსტიტუციის თვითეული მუხლიდან გამოსჭვივის. საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს თავისუფალი შრომის, შემოქმედებისა და დასვენების უფლება აქვთ. მე ახალმა კონსტიტუციამ შემმატა შემოქმედებითი ენერგია.

ცალკე რესპუბლიკათა გამოყოფა და თანასწორუფლებიანობა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ყველას და განსაკუთრებით ხუროთმოძღვარს, ჩვენი სამშობლოს თავისუფალ ადამიანთა სახლები და ქალაქები უნდა იყოს კარჩაკეტილობისაგან თავისუფალი, საამური და ყოველმხრივ მოწყობილი. ბურჟუაზიული ქალაქის თვითეული შენობა იყო კარჩაკეტილი და წარმოადგენდა ნაგებობას, რომელსაც დამონებული ჰყავდა ადამიანი. ახლა კი ახალი ადამიანები აშენებენ ვრცელ მოედნებს, ბაღებს, ფართო ქუჩებს და მონუმენტურ სახლებს.

საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობის შედეგად აყვავდა არქიტექტურა. წინათ საქართველოში იყო მხოლოდ ორი არქიტექტორი, რომლებიც მენშევიკების ბატონობის დროს მაკლერებად მუშაობდნენ. ახლა აყვავებულ საქართველოში 250 ხუროთმოძღვარია, რომლებიც იბრძვიან სოციალიზმის მშენებლობის პასუხსაგებ უბანზე.

ახალმა სტალინურმა კონსტიტუციამ აამაღლა ჩემი შემოქმედებითი ენტუზიაზმი. მე ახალი ენერგიით შევუდექი ნაგებობათა დაპროექტებას.

არქიტექტორი

შალვა თავაძე.

◇ ◇ ◇

600 ცენტნერი თითო ჰექტარიდან

გორის წარმოება-დაწესებულებებში გაცხოველებით იხილავენ ახალი, სტალინური კონსტიტუციის პროექტს. საკონსერვო ქარხანაში დიდი ინტერესით გაარჩიეს ამხ. ლ. ბერიას სტატია, კონსტიტუციისა და ა.-კ. ფედერაციის საკითხებზე, მუშები მხურვალე ოვაციით შეხვდნენ სტატიის იმ ადგილს სადაც მოცემულია ყოფილი ქართველი ნაციონალისტ-უკლონისტების წარსული მოქმედების კრიტიკა.

სოფ. ბერბუკის კოლმეურნეებმა კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნების პასუხად პირობა დასდეს, თითო ჰექტარზე აიღონ 500 ცენტნერი მაღალხარისხოვანი შაქრის ჭარხალი, ხოლო საქაშეთის კოლმეურნეებმა, სტახანოველების — თარუაშვილის და არშოლაშვილის წინადადებით იკისრეს ვალდებულება თითო ჰექტარზე 600 ცენტნერი მოსავალი აიღონ.

— ჩვენ აღტაცებული ვართ იმით, — აცხადებენ კოლმეურნეები, — რომ სტალინური კონსტიტუცია საკოლმეურნეო სოფელს, სოციალისტური მინდვრების დამკვრელებს, უფლებრივად ათანასწორებს ინდუსტრიულ ცენტრებთან, სამრეწველო პროლეტარიატთან. ეს შედეგია საბჭოთა ხელისუფლების და პარტიის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებისა, რომელიც მიღწეულ იქნა დიდი ბელადის სტალინის ხელმძღვანელობით. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში ფაშიზმი მშრომელ ხალხს ართმევს თავისუფლების უკანასკნელ ნამცეცს, ჩვენ ქვეყანაში კი პირიქით ხდება, ხალხს აქვს ნამდვილი, სრულქმნილი, ხელშეუხლებელი თავისუფლება. დეე, ასეთ ქვეყანაში მიწამაც მოსავლის მაქსიმუმი მოგვცეს.

ი. ტრაინინი

სსრ კავშირის უზენაესი საბჭო

საბჭოთა საკავშირო სახელმწიფო წარმოადგენს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ გამოცხადებულ და განხორციელებულ ნაციათა თანასწორუფლებიანობის გამოხატულებას.

იყენებდნენ რა პროლეტარული რევოლუციის მიერ მოპოვებულ უფლებებს, ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების მშრომელები საბჭოების საფუძველზე აშენებდნენ თავიანთ ნაციონალურ რესპუბლიკებსა და ოლქებს; ამასთან მათ შექმნეს პროლეტარული საკავშირო სახელმწიფო, — „ხალხთა თანამშრომლობის შესანიშნავი ორგანიზაცია, რომელსაც ეწოდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და რომელიც წარმოადგენს ერთ მსოფლიო მეურნეობად ხალხთა მომავალი გაერთიანების ცოცხალ პროტოტიპს" (ი. სტალინი).

ახალი კონსტიტუციის პროექტით სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს უზენაესი საბჭო. უზენაესი საბჭო შესდგება ორი პალატისაგან: კავშირის საბჭოსაგან, რომელსაც ირჩევენ სსრ კავშირის ყველა მოქალაქე, ეროვნების განურჩევლად, ნორმით: ერთი დეპუტატი მოსახლეობის 300 ათას კაცზე, და ეროვნებათა საბჭოსაგან; ეს უკანასკნელი შესდგება დეპუტატებისაგან, რომლებსაც მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უზენაესი საბჭოები და ავტონომიური ოლქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოები გამოჰყოფენ (მუხ. მე-34 და მე-35).

ორი პალატა, რომლებისგანაც სსრ კავშირის უზენაესი საბჭო შესდგება, ზოგიერთ ზერელე ადამიანს აძლევს იმის საბაბს, რომ ეძებონ ფორმალური ანალოგიები კაპიტალისტური სახელმწიფოების ორპალატიან სისტემებთან. ასეთი ანალოგიები უაღრესად უხეშ შეცდომას წარმოადგენს. დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში „მეორე", ან „ზედაპალატები" არსებობენ იმისათვის, რომ შეაფერხონ პარლამენტების („ქვედა - პალატების") რადიკალური ღონისძიებათა გატარება. „მეორე" ან „ზედაპალატების" წევრებს ჩვეულებრივ ირჩევენ გადიდებული ცენზის მიხედვით.

კანონი ამჟამად არსებული მეორე პალატის — სენატის შესახებ საფრანგეთში მიღებულ იქნა 1875 წლის 24 თებერვალს, როცა პარიზის კომუნის დათრგუნვის შემდეგ მესამე რესპუბლიკის შემომქმედნი ცდილობდნენ რაც შეიძლება უფრო მეტი კონსერვატიული ბაზა შეექმნათ მისი სახელმწიფო დაწესებულებებისათვის. სენატის საკითხზე კომისიის სახელით გამოსული მომხსენებელი აშკარად აცხადებდა: „საარჩევნო უფლების რეფორმების დრო წავიდა. ჩვენ არ დაგვრჩენია არავითარი სხვა გარანტია, გარდა მეორე პალატის შექმნისა. ჩვენ გვინდა დავუპირისპიროთ რევოლუციურ პარტიის საკმაოდ სოლიდური ბარიერი, რათა მას არ შეეძლოს ლეგალური გზით დაეპატრონოს ხელისუფლებას".

კაპიტალისტურ ქვეყნებში ეგრეთწოდებული „მეორე პალატების" შემადგენლობა სრულიად არ ითვალისწინებს ნაციონალურ მომენტს. უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ამერიკის შეერთებულ შტატებში მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, როცა წარმომადგენელთა პალატაში დეპუტატად ზანგი აირჩიეს. მაგრამ სენატში, ე. ი. „მეორე პალატაში" ზანგის წარმომადგენლობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი 13 მილიონი ზანგი ცხოვრობს.

ეროვნებათა საბჭოს დამახასიათებელი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ იქ წარმოდგენილი არიან არა მარტო საკავშირო სახელმწიფოს უშუალო წევრები, ე. ი. საკავშირო რესპუბლიკები, არამედ ავტონომიური რესპუბლიკებიცა და ოლქებიც, რომლებიც ამ მოკავშირე რესპუბლიკებში შედიან. ამგვარად უფრო უკეთ და უფრო სრულად არის ასახული საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის საჭიროებანი და მოთხოვნილებანი. როცა პარტიის XII ყრილობაზე რაკოვსკი მოითხოვდა, ეროვნებათა საბჭოში წარმომადგენლობა მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკებისათვის მიგვეცა, ამხანაგი სტალინი, ხაზგასმით აღნიშნავდა რა ნაციონალური წარმომადგენლობის პრინციპს, მიუთითებდა: „რაკი ეროვნებანი თავიანთი უფლებების მიხედვით თანასწორნი არიან, რაკი მათ აქვთ ენა, ადათი, ყოფაცხოვრება, ჩვეულებანი, რაკი ამ ეროვნებებმა შექმნეს თავიანთი სახელმწიფო დაწესებულებანი — ცაკი, სახკომსაბჭო, მაშინ განა ცხადი არ არის, რომ ყველა ეს ეროვნებანი სახელმწიფო გაერთიანებებს წარმოადგენენ? მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ხელი ავიღოთ მეორე პალატაში რესპუბლიკათა და ეროვნებათა თანასწორობის თვალსაზრისზე, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ეროვნებათა მიმართ".

ეროვნებათა საბჭო შესდგება დეპუტატებისაგან, რომლებსაც გამოჰყოფენ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უზენაესი საბჭოები და ავტონომიური ოლქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოები: ათ - ათი დეპუტატი თვითეული მოკავშირე რესპუბლიკისგან, ხუთ - ხუთი დეპუტატი თვითეული ავტონომიური რესპუბლიკისგან და ორ-ორი დეპუტატი თვითეული ავტონომიური ოლქისგან.

ეროვნებათა საბჭოში წარმომადგენლობის სხვადასხვა ნორმები სავსებით გამართლებულია. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ავტონომიური რესპუბლიკები და ავტონომიური ოლქები წარმოდგენილნი არიან არა მარტო უშუალოდ თავიანთი დეპუტატების სახით, არამედ მათი წარმომადგენლები არიან იმ მოკავშირე რესპუბლიკათა დეპუტატებიც, რომელთა ნაწილსაც ისინი შეადგენენ და რომელთა ხელისუფლების უზენაესი ორგანოების შედგენაშიც ისინი აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ. რუსეთის კ. პ. (ბ) XII ყრილობამ ამხანაგ სტალინის წინადადებით დაადგინა, ნაციონალურ რესპუბლიკათა წარმომადგენლობა ეროვნებათა საბჭოში უნდა სდგებოდეს „ამ რესპუბლიკათა შემადგენლობაში შემავალი ყველა ეროვნების წარმომადგენლობის შესაძლო გათვალისწინებით" (საკ. კ. პ. (ბ) რეზოლუციები, ტ. I გვ. 506).

ერთ სახელმწიფოებრივ წარმონაქმთა (მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების) უფრო ფართო პოლიტიკური უფლებები სხვებთან (ავტონომიურ ოლქებთან) შედარებით უმთავრესად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მომზადებულია ესა თუ ის სახელმწიფო წარმონაქმი დამოუკიდებლად იაროს წინ თავისი ეკონომიური და კულტურული განვითარების გზით და რამდენად [illegible] მოეპოვება მას ამისათვის საკმაო მატერიალური რესურსები, კადრები და სხვ. ამასთან მთელ რიგ სახელმწიფოებრივ წარმონაქმთათვის, კერძოდ მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, უნდა დავუმატოთ ის დიდი პოლიტიკური მომენტიც, რომელიც გამომდინარეობს კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან მათი მოსაზღვრე მდგომარეობიდან. ამ უკანასკნელ გარემოებას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ამ გარემოებათა გათვალისწინება ყოველ ცალკეულ ისტორიულ ეტაპზე აადვილებს იმის შესაძლებლობას, რომ სხვადასხვა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი ნაციონალური თვითმმართველობის ერთი ფორმიდან გადავიდნენ მეორე ფორმაზე.

„საბჭოთა ავტონომიის ეს ელასტიკურობა, — აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი, — მის ერთერთ პირველ ღირსებას შეადგენს, ვინაიდან იგი (ელასტიკურობა) საშუალებას გვაძლევს მოვიცვათ რუსეთის იმ განაპირა რაიონების მთელი მრავალფეროვნება, რომლებიც კულტურული და ეკონომიური განვითარების ფრიად სხვადასხვა საფეხურზე დგანან" (ი. სტალინი. „მარქსიზმი და ნაციონალურ - კოლონიური საკითხი", გვ. 60).

ყველა მოკავშირე რესპუბლიკა, რომლისგანაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიდი კავშირი შესდგება, — თანასწორუფლებიანი არიან. დიდი რუსეთის სფს რესპუბლიკას და პატარა ბელორუსიის სს რესპუბლიკას წარმომადგენლობის ერთნაირი ნორმა აქვთ. საბჭოთა კავშირში არცერთი ერი არ სარგებლობს რაიმე უპირატესობით.

ყოველივე ზემონათქვამიდან ცხადია, რომ ლაპარაკიც არ შეიძლება რაიმე ანალოგიებზე კაპიტალისტური სახელმწიფოების და საბჭოთა კავშირის ორპალატიან სისტემას შორის.

მაშ რას წარმოადგენს სსრ კავშირის ორპალატიანი სისტემა?

ჯერ - ერთი, ორივე პალატა (კავშირის საბჭო და ეროვნებათა საბჭო) — თანასწორუფლებიანი არიან (მუხ. მე-37). არ არსებობენ არც „ზედა" არც „ქვედა" პალატები.

მეორე, ორივე პალატა ერთნაირად სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით (მუხ. მე-38).

მესამე, კანონი ითვლება დამტკიცებულად, თუ იგი მიღებულია ორივე პალატის მიერ (მუხ. მე-39).

საბჭოთა სისტემისათვის უცხოა ორგანოთა საქმის გაჭიანურება, რაც კაპიტალისტური ქვეყნების ორპალატიან სისტემებს ახასიათებს. კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ორივე პალატის სესია თუმცა ერთსადაიმავე დროს მიმდინარეობს, მაგრამ კანონის გადასვლა ერთი პალატიდან მეორეში ხშირად დაკავშირებულია მთელ რიგ ბიუროკრატიულ ფორმალობასთან, რაც საქმის გაჭიანურებას იწვევს. იქ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებშია დასაშვები საერთო სხდომები (მაგალითად, საფრანგეთში რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის დროს ან საკონსტიტუციო შესწორებათა განსახილველად). პირველი პალატის მიერ მიღებულ კანონებს ხშირად ასამარებენ და აჩერებენ მეორე პალატაში, გზავნიან უკან ხელმეორედ განსახილველად და სხვ. საბჭოთა ორივე პალატის მიერ საკითხთა ერთსადაიმავე დროს განხილვის პროცედურა გამორიცხავს საქმის რაიმე გაჭიანურების ყოველგვარ შესაძლებლობას. საბჭოთა კავშირში ორივე პალატას შორის კავშირი მარტივია. პრაქტიკაში ახლაც დამკვიდრდა ანგარიშებისა და მოხსენებების საერთოდ მოსმენა, კამათი და კენჭისყრა კი ცალკე ხდება. კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საერთო სხდომების წესს განსაზღვრავს კონსტიტუციის პროექტის მე-45 მუხლი.

კონსტიტუციის პროექტის მე-47 მუხლი მიუთითებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, პარიტეტულ საფუძვლებზე შეიქმნება შემთანხმებელი კომისია. თუ ამ უკანასკნელში არ იქნება მიღწეული შეთანხმებული გადაწყვეტილების მიღება, ან თუ მისი გადაწყვეტილება არ აკმაყოფილებს ერთერთ პალატას, მაშინ საკითხი გადავა ორივე პალატის ხელმეორედ განსახილველად. თუ ამ შემთხვევაშიც ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი დაითხოვს უზენაეს საბჭოს და დანიშნავს ახალ არჩევნებს.

შესაძლებელია თუ არა ესოდენ მკაცრი უთანხმოებანი? ჩვენი ნაციონალური პოლიტიკა მჭიდროდ არის გადახლართული საბჭოთა სახელმწიფოს საერთო პოლიტიკასთან. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია ის გრანდიოზული მიღწევანი, რომლებიც ახლა გვაქვს ყველა ჩვენს ნაციონალურ რესპუბლიკასა და ოლქებში. იმას, რომ საბჭოთა სახელმწიფოში ყველა მშრომელის მიერ არჩეულ ორგანოსა და ეროვნული პრინციპის მიხედვით არჩეულ ორგანოს შორის არ შეიძლება იყოს ძირითადი უთანხმოებანი, მოწმობს კავშირის ერთიანი ცაკის ჩარჩოებში საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს შეთანხმებული მუშაობის მთელი მრავალი წლის გამოცდილება, რომლებიც ამჟამად არსებული კონსტიტუციის საფუძველზე მოქმედებენ. საფუძველი არა გვაქვს მოველოდეთ ძირითად უთანხმოებას ორ პალატას შორის მომავალშიაც. მაგრამ მე-47 მუხლი ერთხელ კიდევ ზედმეტად აზუსტებს, ამტკიცებს და უზრუნველყოფს სსრ კავშირის ეროვნებათა მშრომელების უფლებებს.

იმ ფუნქციებს, რომლებიც ახალი კონსტიტუციის პროექტის მე-49 მუხლის თანახმად უზენაეს საბჭოს პრეზიდიუმს აქვს მინიჭებული, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, ამა თუ იმ განსხვავებით, ასრულებს „სახელმწიფოს მეთაური", ე. ი. მეფე, ან პრეზიდენტი. მაგალითად, ისეთ საკავშირო სახელმწიფოში, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, რესპუბლიკის პრეზიდენტის პირადი როლი უჩვეულოდ დიდია. ამერიკის კონსტიტუციის მამებმა, რომლებიც პარლამენტის როლის შეზღუდვას ცდილობდნენ, პარლამენტს დაუპირისპირეს პრეზიდენტი და მისცეს მას უაღრესად დიდი რწმუნებანი. პრეზიდენტი სათავეში უდგას აღმასრულებელ ხელისუფლებას და ყველა მინისტრი პასუხისმგებელია მის წინაშე. პრეზიდენტს შეუძლია არ დაეთანხმოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს და დააბრუნოს იგი ხელმეორედ განსახილველად. პრეზიდენტის მიერ უარყოფილი კანონი მიღებულად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელმეორედ განხილვის დროს მას ხმა მისცა ორივე პალატის წევრთა ორმა მესამედმა.

სულ სხვაა „სახელმწიფოს მეთაურის" როლი სსრ კავშირში. სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი გამორიცხავს რაიმე ერთპიროვნული ხელისუფლების შესაძლებლობას საკანონმდებლო ორგანოების საზიანოდ. უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი შესდგება თავმჯდომარისა, ოთხი მოადგილისა, პრეზიდიუმის მდივნისა და პრეზიდიუმის 31 წევრისაგან (მუხ. მე-48). უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს არა აქვს უფლება გააჩეროს კანონები, ან არ დაეთანხმოს მათ. იგი „იძლევა მოქმედი კანონების განმარტებას და გამოსცემს სათანადო ბრძანებებს" მუხ. მე-49 პ. ბ.). ბურჟუაზიული ქვეყნების „სახელმწიფოთა მეთაურებისაგან" განსხვავებით [illegible] საბჭოს პრეზიდიუმი მთელ თავის საქმიანობაში ანგარიშვალდებულია სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს წინაშე. (მუხ. მე-48).

უკანასკნელი საკითხი — ეს არის უზენაესი საბჭოს დათხოვნის საკითხი.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ვადამდი პარლამენტის დათხოვნას მეტწილად იწვევს სხვადასხვა კაპიტალისტური ჯგუფების ინტერესთა ბრძოლა, ან აღმასრულებელი ხელისუფლების მისწრაფება განთავისუფლდეს პარლამენტის ოპოზიციისაგან და შეარჩიოს თავისი მორჩილი პალატა. ამასთან, ეგრეთწოდებულ „მეორე პალატას", რომელიც გადიდებული ცენზის მიხედვით სდგება, ბევრ ქვეყანაში, როგორც წესი, არ ითხოვენ. პარლამენტის დათხოვნის უფლება ჩვეულებრივ ეკუთვნის სახელმწიფოს მეთაურს — მეფეს ან პრეზიდენტს. გერმანიაში, სანამ ხელისუფლების სათავეში ჰიტლერი ჩადგებოდა, პრეზიდენტ ჰინდენბურგის ბრძანებებით პარლამენტს პარლამენტზე ითხოვდნენ ვადამდე ადრე, ფართოდ იყენებდნენ ვეიმარის კონსტიტუციის მე-48 მუხლს, რომლის საფუძველზე გაბატონებული კლასები ქვეყანას უპარლამენტოდ მართავდნენ, აუქმებდნენ დემოკრატიულ თავისუფლებას და სძარცვავდნენ მუშათა კლასს და მშრომელთა ფართო მასებს. ჰიტლერის დროს რეიხსტაგი ფაშისტ ბელადთა ორატორების ბალაგანად გადაიქცა და მას ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმზედაც კი ჩვეულებრივ წარმოდგენასთან საერთო არა აქვს რა.

ესპანეთში, 1931 წლის ახალი კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტს უფლება აქვს დაითხოვოს კორტესები (პარლამენტი) ორჯერ თავისი პრეზიდენტობის დროს. პრეზიდენტ ზამორას, — რომელიც ესპანეთში შექმნილი სახალხო ფრონტის შედეგად 1936 წლის აპრილში დაითხოვეს, ესეც საკმარისად არ ეჩვენებოდა და მოითხოვდა მენიჭებინათ პრეზიდენტისათვის იმის უფლება, რომ დაეთხოვნა პარლამენტი „საჭიროების მიხედვით". ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტს არა აქვს პალატის დათხოვნის უფლება, მაგრამ იგი იყენებს „ვეტოს" და თავისთვის არასასურველი კანონების შეჩერების უფლებას.

სსრ კავშირში უზენაესი საბჭოს დათხოვნის უფლებით სარგებლობს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი. სსრ კავშირში საჭიროების დროს მე-47 მუხლის თანახმად დათხოვნილ უნდა იქნას არა ერთი პალატა, როგორც ეს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ხდება, არამედ ორივე პალატა.

სსრ კავშირში შეუძლებელია იყოს ისეთი მდგომარეობა, რომ ვინმე ცდილობდეს თავს მოახვიოს უზენაეს საბჭოს ესა თუ ის საკანონმდებლო გადაწყვეტილება დათხოვნის ან კანონის შეჩერების მუქარით, ან, რომ „ზედაპალატამ" შეაფერხოს „ქვედაპალატის" მუშაობა. საბჭოთა ორივე პალატას, თუ მათში თავი იჩინა სერიოზულმა უთანხმოებებმა, რომელთა გამო ვერ იქნება მიღწეული შეთანხმება, ეს უთანხმოებანი გამოაქვს ჩვენი მრავალეროვანი კავშირის მშრომელთა სამსჯავროზე, რომლებიც გადასწყვეტენ საკითხს ახალი არჩევნებით. ის ერთხელ კიდევ ადასტურებს საბჭოთა დემოკრატიის ღრმა შინაარსს.

საამშენებლო საქმე უნდა გაუმჯობესდეს

საქ. კ.პ.(ბ) ც.კ.-მა და სახკომსაბჭომ 1936 წლის 11 თებერვლის დადგენილებით ყველა სამეურნეო ორგანიზაციის წინაშე დააყენეს საამშენებლო საქმის გაუმჯობესებისა და მშენებლობის გაიაფების საკითხი.

ამ დადგენილებაში მოცემულია მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული ღონისძიებანი კუსტარული და პარტიზანული მეთოდებიდან მსხვილი საამშენებლო ინდუსტრიის გზაზე გადასვლისათვის. ამის საფუძველზე საქართველოში მოეწყო ხუთი მძლავრი საამშენებლო ორგანიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ ეს რეორგანიზაცია უკვე რამდენიმე თვეა გატარდა, ჯერ კიდევ მთელი რიგი მსხვილი საამშენებლო ობიექტები არ გადაუციათ საამშენებლო ტრესტებისათვის, ორი ძირითადი რესპუბლიკური საამშენებლო ტრესტის — „საქარმშენის" (სამრეწველო მშენებლობა) და „საქმშენის" (სოციალურ-კულტურული მშენებლობა) დატვირთვა, 80 მილიონი მანეთის ნაცვლად, ფაქტიურად 45-50 მილიონი მანეთით განისაზღვრება. საამშენებლო ობიექტების საგრძნობი რიცხვი ძველებური სამეურნეო წესით შენდება და კუსტარულ და პარტიზანულ მეთოდებს ფეხი ჯერ კიდევ მაგრად აქვთ მოდგმული. უკვე მეექვსე თვე მიდის, მიმდინარე წელს ასაშენებელი მთელი რიგი ობიექტების მშენებლობა კი ჯერაც არ დაწყებულა (ტალკის წარმოება, გუმბრინის ქარხანა, სამუსიკო ინსტრუმენტების ქარხანა, თეძამის ტუფის წარმოება, ბორჯომის წყლების ახალი ჩამომსხმელი ქარხანა, სახკინმრეწვის საწარმოო კორპუსი, და ბევრი სხვ.), პროექტების და ხარჯთაღრიცხვის თავის დროზე შეუდგენლობა აფერხებს მშენებლობის გაშლას, საამშენებლო სეზონის უმეტესი ნაწილი იკარგება სამეურნეო ორგანიზაციებისა და საამშენებლო ორგანიზაციების დავაში პროექტების და ხარჯთაღრიცხვის ირგვლივ.

მიუხედავად საქ. კ.პ.(ბ) ც.კ.-ისა და სახკომსაბჭოს დადგენილებისა თვითეულ მოედანზე ერთი გენერალური მოიჯარადრის არსებობის შესახებ, რომელიც უნდა აწარმოებდეს როგორც საამშენებლო, ისე მოწყობილობის მონტაჟის საქმეს, ეს ადგილობრივი მრეწველობის არცერთ ობიექტზე არ არის განხორციელებული.

გაშლილი არ არის ენერგიული ბრძოლა, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის მექანიზაციისა და რაციონალიზატორულ ღონისძიებათა გატარებას სერიოზული ყურადღება არ ექცევა, რის გამო მთელი რიგი სამუშაოები (მიწის სამუშაოები, მასალის მიზიდვა და ატანა და სხვ.) პრიმიტიული წესით სწარმოებს. მაგალითად, უნივერსიტეტის ფიზიკურ-ქიმიური კორპუსის მშენებლობაზე აგურის გადატანა საამშენებლო მოედანზე სწარმოებს ხელით.

ტექნიკურ სწავლებაში მშენებელ მუშათა ჩაბმის საკითხი ყველგან არ არის სათანადოდ დაყენებული. „საქმშენის" მშენებლობებზე ჯერჯერობით მხოლოდ 40 მუშაა ჩაბმული ტექნიკური მინიმუმის წრეებში, მაშინ როცა ამ ტრესტის მუშათა საერთო რიცხვი 1500-ს აღწევს. სტახანოველი მუშებისათვის ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი სოციალისტური შრომის ოსტატთა სპეციალური კურსები.

საპროექტო ორგანიზაციების მუშაობა არ არის გარდაქმნილი. პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით მტკიცედ განსაზღვრულია პროექტების შედგენის ღირებულება, იგი დასაპროექტებელი ობიექტების ღირებულების 1,5 პროცენტზე მეტი არ უნდა დაჯდეს, მაგრამ ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევა, როცა 3,4 და მეტ პროცენტს იღებენ; ეს აძვირებს მშენებლობას. პროექტების ღირებულების შემცირების დირექტივებს არღვევენ უმთავრესად კომუნალური მეურნეობის კომისარიატისა და ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატის საპროექტო ორგანიზაციები. პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა ძალიან გვიანდება, ხშირია გაბერილი ხარჯთაღრიცხვების შედგენა.

ამრიგად, ფრიად მნიშვნელოვან დავალებებს საამშენებლო საქმის რადიკალურად გარდაქმნისა და მშენებლობის გაიაფების შესახებ სამეურნეო ორგანოები ჯერ კიდევ სათანადოდ არ ასრულებენ. არასაკმარისი ტემპით ტარდება დასახული კონკრეტული ღონისძიებები. ამის შედეგად წლის პირველი ნახევრის საამშენებლო გეგმის შესრულება სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი. კიდევ უფრო ცუდად სრულდება ხარისხობრივი დავალებები. კერძოდ მშენებლობის თვითღირებულების 11 პროცენტით შემცირება წლის პირველ ნახევარში არ არის უზრუნველყოფილი.

ამიტომ აქედანვე უნდა იქნას მიღებული გადამჭრელი ზომები მშენებლობის საქმის რადიკალურად გაუმჯობესებისათვის.

ნ.

◇ ◇ ◇

გზა ზემოსვანეთში

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით და ამხ. ლ. ბერიას პირადი მითითებით მიმდინარე წლის დამლევისათვის უნდა დამთავრდეს ზემოსვანეთის გზის გაყვანა.

ამ დირექტივის შესრულებისათვის ახლა გაცხოველებული მუშაობაა. სახელმწიფო თანხებით შენდება გზა 30 კილომეტრის მანძილზე ლახამულიდან ხაიშამდე, სადაც გზამ ციცაბო კლდიან ადგილებში უნდა გაიაროს. აფეთქების წესით ირღვევა ე. წ. ზურტაკისა და პროხოროვის კლდეები, გაჰყავთ გვირაბები და ამ წესით შენდება ტრასა. ხაიშიდან 3 კილომეტრის დაშორებით ერთი გვირაბი უკვე გათხრილია, ახლა ითხრება მეორე და ისიც პირველ ივლისამდე დამთავრდება. ამ რთულ სამუშაოს ახალგაზრდა ინჟინერი, პარტიის წევრი ამხ. ვ. ნანუაშვილი ხელმძღვანელობს.

ლახამულადან-მესტიამდე გზის მშენებლობა ადგილობრივი მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით სრულდება.

განსაკუთრებული აქტივობა ამ საქმეში სოფ. უშგულის, კალისი, ბეჩოს და თავრალის მშრომელებმა გამოიჩინეს. აღნიშნული სოფლების შრომაუნარიანნი 20 დღის სამუშაო ნორმას 8-10 დღეში ასრულებდნენ. წელს იმდენი გაკეთდა შრომითი რესურსებით ამ გზაზე, რამდენიც არ გაკეთებულა ყველა წინა 6-7 წლის განმავლობაში.

ნავარაუდევი იყო სამუშაოს დამთავრება 21 კილომეტრის მანძილზე მესტიიდან — ეცერამდე, ნამდვილად კი მიწისა და კლდის სამუშაო შესრულდა 24 კილომეტრზე, ახლა კი სწარმოებს ხიდ-ბოგირების შენება.

ზემოსვანეთის გზების მშენებლობაზე აღსანიშნავია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლა. რაიონის აქტივი და კულტურული ძალები მასში ცხოველ მონაწილეობას იღებენ. სანიმუშოდ არის მოწყობილი სამუშაოებზე მუშათა საყოფაცხოვრებო და კულტურული მხარე. სისტემატურად იმართება საუბრები მშრომელებთან მიმდინარე სამეურნეო, პოლიტიკურ და კულტურულ საკითხებზე.

საქ. კ.პ. (ბ) ზემოსვანეთის რაიკომის ბიუროს დადგენილებით 20 ივლისისათვის უნდა გაიხსნას ავტომიმოსვლა მესტია-ეცერს შორის. მშენებელნი მთელი ძალღონით და ენერგიულად იბრძვიან ამ დირექტივის შესრულებისათვის და არის ყველა ნიშანი იმისა, რომ დავალებას პირნათლად შეასრულებენ.

ვიქტორ ქობალია.

ბოლშევიზმის სახელოვან ტრადიციებზე აღვზარდოთ ახალგაზრდობა

საქ. ა.ლ.კ.კ. ტფილისის ორგანიზაციის სტალინის სახ. რაიონში ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინურ აღზრდას საქ. ა.ლ.კ.კ. მე-10 ყრილობის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს. რაიონის კომკავშირის პოლიტსკოლები ძირითადად უზრუნველყოფილი არიან კვალიფიციური პროპაგანდისტებით. 139 პროპაგანდისტიდან უმაღლესი და საშუალო განათლებით არის 104. ამ მხრივ დიდი დახმარება გაუწია კომკავშირს პარტიის რაიკომმა. პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის განმტკიცებისათვის პარტრაიკომმა 32 კომუნისტი გამოუყო კომკავშირის რაიკომს პროპაგანდისტულ სამუშაოზე გამოსაყენებლად. პარტრაიკომის მდივნის დავალებით პარტკაბინეტმა მასში სპეციალურად შეამოწმა რაიონის კომკავშირის პოლიტსკოლების მდგომარეობა, შემოწმების შედეგები რაიკომის მეთოდისტმა ამხ. კენიქსონმა და პარტკაბინეტის გამგემ ამხ. ს. შახნაზაროვმა დაამუშავეს რაიონის პროპაგანდისტთა მეთოდურ თათბირზე.

კომკავშირის რაიკომის პროპსემინარების მუშაობა (4 პროპსემინარია) ორგანიზებულად და თავის დროზე ტარდება, პროპსემინარების ხელმძღვანელები (კენიქსონი, კვაჭაძე და სხვ.) ამოწმებენ, თუ როგორ ატარებენ ადგილებზე პროპაგანდისტები მსმენელებთან საუბარს, მოწინავე პოლიტსკოლების გამოცდილების გაზიარება ხდება მორიგ პროპსემინარზე, რაც დიდ დახმარებას უწევს პროპაგანდისტებს მეთოდური მუშაობის მხრივ. გარდა ამისა, კომკავშირის რაიკომი პროპაგანდისტებთან სისტემატურად მართავს სხვადასხვა სპეციალურ საკითხებზე კონსულტაციას (ამას წინათ მოსმენილ იქნა ამხ. სულეიმანის მოხსენება საერთაშორისო საკითხებზე და სხვ.), აგრეთვე პროპაგანდისტთა საჩვენებელ მეცადინეობას გამოცდილების გაზიარების მიზნით, სანიმუშოდ არის დაყენებული რაიონში აქტივის სწავლება; თვეში სამჯერ რაიონის აქტივი (კომიტეტის მდივნები, ორგანიზატორები, რაიკომის მუშაკები და სხვ.) იკრიბება და ამუშავებს საკ. კ.პ.(ბ) პარტიის ისტორიის საკითხებს.

სტალინის სახ. რაიკომში არსებული პოლიტსკოლები ამჟამად მუშაობენ საკ. ა.ლ.კ.კ. —X— ყრილობის მასალების შესწავლაზე. მსმენელების დასწრებამ პოლიტმეცადინეობაზე შედარებით იმატა. რაიონს ჰყავს მოწინავე პროპაგანდისტები, რომლებმაც სანიმუშოდ მოაწყვეს პოლიტსკოლების მუშაობა; ასეთები არიან ამხ. ნოვიკი, კუპატაძე, (მაუდის ქარხანა), პირტახია, სიხარულიძე (ტრამვაი) და სხვ.

ამხ. ნოვიკი თავის მუშაობაში იყენებს საუბრის მეთოდს, სერიოზულად მუშაობს იდეური დონის ამაღლებისათვის საკუთარ თავზე, კითხულობს მარქსიზმის კლასიკოსებს და ა. შ.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, რაიონის პოლიტსკოლებს ჯერ კიდევ ახასიათებთ მთელი რიგი ნაკლულოვანებანი.

ზოგ პოლიტსკოლაში სუსტია ათვისების ხარისხი, მსმენელები ვერ ერკვევიან ელემენტარულ საკითხებშიაც კი. მაგალითად, საქმარაგვასალების პოლიტსკოლის მსმენელმა ამხ. ბალდასაროვმა არ იცის, თუ როდის გაუქმდა რუსეთში ბატონყმობა. სახკინმრეწვის პარტისტორიის ძირითადი ეტაპები შემსწავლელი წრის მსმენელებმა (პროპაგანდისტი ამხ. თოდრია) არ იციან, თუ რატომ ჰქვია ჩვენს პარტიას ბოლშევიკების პარტია და სხვ. რაიონის ზოგ პოლიტსკოლაში მსმენელები მასალას ითვისებენ ზოგადად, კონკრეტულ-ისტორიული ფაქტების ცოდნის გარეშე, მსმენელები მიჩვეული არიან მიცემული განაკვეთის გაზეპირებას, რასაც უარყოფითი შედეგი მოაქვს მსმენელთათვის. მაგალითად, კალინინის ქარხნის პარტისტორიის ძირითადი ეტაპების შემსწავლელი წრის მსმენელმა ამხ. შჩირკინმა არ იცის, ვინ იყვნენ ნაროდნიკები, როდის მოღვაწეობდნენ ისინი, როგორ აფასებდა მათ ლენინი და სხვ.

პოლიტსკოლის მსმენელები მეტწილად ჯერ კიდევ არ არიან უზრუნველყოფილნი საჭირო ლიტერატურით, კომკავშირელების უმრავლესობა არ კითხულობს მარქსიზმის კლასიკოსებს. არა თუ რიგითი კომკავშირლები, არამედ კომკავშირის კომიტეტთა ზოგი მდივანიც არაფერს აკეთებს ამ მხრივ, მაგალითად, საქმარაგვასალების კომკავშირის კომიტეტის მდივანს ამხ. ბურნაზიანს არა აქვს წაკითხული მარქსიზმის კლასიკოსების არც ერთი წიგნი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი კი არ უნდა „სარდლობდეს", არამედ უპირველესად ყოვლისა უნდა იყოს ახალგაზრდობის საუკეთესო აღმზრდელი და პროპაგანდისტი. ეს კი ზოგიერთს ჯერ კიდევ ვერ გაუგია.

დაბალია აგრეთვე ზოგი პროპაგანდისტის თეორიული დონე. მაგ. პროპაგანდისტი ამხ. სუხიშვილი (ავტოგარაჟი № 1) პოლიტსკოლების მასალებს მხოლოდ ერთი სახელმძღვანელოთი ამზადებს, ამის გამო მეცადინეობაზე პროპაგანდისტის საუბარი მოსაწყენია, მსმენელებში ის არ იწვევს არავითარ ინტერესს, რის შედეგადაც მეცადინეობა ხშირად იშლება.

უმრავლეს შემთხვევაში პოლიტსკოლებსა და წრეებში ძალიან ნაკლებად იყენებენ გეოგრაფიულ რუკას და მხატვრულ ლიტერატურას.

სტალინის სახ. რაიონში არსებობს ყოველგვარი პირობა იმისათვის, რათა გამოსწორებულ იქნან ეს ნაკლოვანებანი, მხოლოდ საჭიროა მეტი მუშაობა თვითეულ პროპაგანდისტთანა და კომკავშირელთან.

ქ. აჭბარდია.

დაცურების გეგმა ერთი თვით ადრე შეასრულეს

ხე-ტყის დამზადების ბაღდათის რაიგანყოფილება უკანასკნელ ხანებში გეგმას ვადამდე ასრულებს.

1936 წელს ხე-ტყის დამზადების განყოფილებას გეგმით უნდა დაემზადებინა 3000 კუბ. მეტრი წიწვიანი ხე-ტყის მასალა. დაცურება, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 1-ლ ივლისისა, დამთავრდა 30 მაისამდე. ე. ი. ვადაზე ერთი თვით ადრე.

დაცურებაზე არ მომხდარა თანხების გადახარჯვა. თვითეული კუბ. მეტრის დაცურებაზე დაიხარჯა 34 მან. 17 კაპ. დაცურების პერიოდში სახბანკის საქ. კანტორას სესხად უნდა მოეცა 120.000 მანეთი, მაგრამ 30 მაისისათვის გადმორიცხული იყო ხოლოდ 20.000 მანეთი. ამან ერთგვარად დააბრკოლა მუშაობა. დაფინანსება თავის დროზე რომ მომხდარიყო მოსალოდნელი იყო გეგმის კიდევ უფრო ადრე და გადაჭარბებით შესრულება.

საირმის წყალზე ხე-ტყის დაცურებაში საუკეთესო მუშაობის ნიმუშს იძლეოდნენ სტახანოველები მაჰმედ ასლან-ოღლი, მანუჩარ შუშურ-ოღლი, შუქური მურად-ოღლი, შაბან ხალილ-ოღლი, ათამ ფაარატ-ოღლი, სარდალ მადად-ოღლი და სხვ. ისინი დღიურ გეგმას 150-200 პროცენტამდე ასრულებდენ და დღეში ხელფასს, ნაცვლად 8-9 მანეთისა, 15-20 მანეთამდე იღებდნენ. მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა ათამ ფაარატ-ოღლი, რომელიც გეგმას 250-300 პროცენტით ასრულებს.

გეგმის ასეთი მაჩვენებლებით შესრულება დაცურების ტექნიკის ათვისებით აიხსნება. სტახანოველებმა კარგად შეისწავლეს დაცურების პროცესის ცალკეული დეტალები და საშიშ ადგილებშიაც კი ჯოხს მოხერხებულად და სწრაფად შლიდნენ.

ს. ჭოლოკავა.
გრ. ქადაგიძე.

ტფილისი. პლეხანოვის სახელობის კლუბის ერთ-ერთი კუთხე.

◇

გეგმა ვადაზე ადრე შეასრულეს

ტფილისის მაუდის ფაბრიკამ ნახევარი წლის საწარმოო გეგმა ვადაზე ადრე 25 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულა. ექვს თვეში ფაბრიკას გეგმის თანახმად უნდა დაემზადებინა 516,400 მეტრი ქსოვილი — ფაქტიურად 25 ივნისისათვის დაამზადა 538.500 მეტრი, გეგმა შესრულა 104,2 პროცენტით.

ფაბრიკის მთელმა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა — დარჩენილი დღეების განმავლობაში, პირველ ივლისამდე დამატებით გამოუშვან 20.000 მეტრი ქსოვილი.

ბიბლიოგრაფია

ვაჟა-ფშაველა. ტომი მეხუთე. მოთხრობები და პიესები

ვაჟა-ფშაველა ქართველ მწერალთა [illegible] წყებას ეკუთვნის, რომელთაც ხანი [illegible] მოდემებით ზრდის, მაგრამ ვერ აბერებს. ეს იმიტომ, რომ ვაჟას პოეზია მაღალია, პოეტური გაქანება ძლიერი, სახეები წარმტაცი და მომხიბლავი. მკითხველთა ფართო წრეებისაკენ ვაჟა-ფშაველამ შედარებით გვიან გაიკვლია გზა, რადგან თავიდანვე ორიგინალური იყო თემა, რომელსაც ეხებოდა ვაჟა, კილო, რომელზედაც სწერდა და რომელზედაც ლაპარაკობდნენ მისი გმირები, აგრეთვე თვითონ ვაჟა და მთელი ის ცხოვრება, რომელსაც იგი აგვიწერდა. ჩვენი მთის ცხოვრება ჯერ კიდევ განაწამებმა სანდრო ყაზბეგმა გაგვიშინჯა თავისი უკვდავი სიყვარულისა და ნიჭის შუქით. მისი მოთხრობებით აღტაცებული იყვნენ, მაგრამ ენას იწუნებდნენ: [illegible] მართალწერა შენს მშვენიერ ქართულს [illegible] გრიგოლ ორბელიანი.

ვაჟასაც ასეთი ბედი ეწია. გადმოგვცემენ, რომ ი. ჭავჭავაძე თავიდანვე აღტაცებული იყო ვაჟას მაღალ პოეტობით: მის შემდეგ ლექსისა თუ პოემის საწერად კალამს როგორღა უნდა მოვკიდო ხელიო. მაგრამ ჩვენს საზოგადოებაში უფრო მეტი გასავალი ჰქონდა აკაკი წერეთლის აზრს, რომელიც ვაჟას მიმართავდა: „ენას გიწუნებ, ფშაველო, მგოსანო მაღალ მთისაო, თუმცა—კი გვითესავ მარგალიტს, [illegible]".

ერთ-ერთი [illegible] და ნაამაგარი პედაგოგი კი, რომელიც პოეზიის მონაწილეც იყო, კრიტიკულ შენიშვნებში კატეგორიულად ამტკიცებდა: ვაჟა-ფშაველასი თუ წაიკითხება რამე, ეს მხოლოდ მისი პროზაო. ყველაფერი ეს ხელს უშლიდა იმას, რომ ვაჟა-ფშაველას მისწვდომოდნენ და ჯეროვნად შეეფასებინათ, დაენახათ ის სიმაღლე, რომელზედაც იგი იდგა. ამიტომ ჩვენ ძალიან საჭიროდ მიგვაჩნია ვაჟა-ფშაველას თხზულებათა (მხატვრულ ნაწარმოებთა მაინც, რადგან პუბლიცისტურ-ეთნოგრაფიული ნარკვევებიც ბლომად აქვს) კრებულის გამოცემა. სახელგამმა დაიწყო კიდეც მისი გამოშვება, მაგრამ [illegible]: ორ წელიწადში დაახლოვებით თითო წიგნს თუ გამოსცემს! ვაჟას პირველი ტომი გამოვიდა 1928-წელს, ახლა კი მეხუთე ტომს ძლივს ვეღირსეთ. [illegible] ნარკვევები აქამდე არ გამოსულა მეორე ტომი.

მაგრამ ვაჟა-ფშაველა ჩვენში ცნობილია, უპირველეს ყოვლისა, როგორც მხოლოდ პოეტი. ფართო საზოგადოება თითო-ოროლა მის მოთხრობას თუ იცნობს და ისიც უმთავრესად იმათ, რომლებსაც სკოლაში სწავლობენ („შვლის ნუკრის ნაამბობი", „ჩხიკვთა ქორწილი"). მით უმეტეს ინტერესს იწვევს ეს ტომი, რომელშიაც ვაჟას ამდენი პროზა პირველად არის თავმოყრილი. ჩვენ, რასაკვირველია, ვერ დავეთანხმებით იმ პედაგოგის აზრს, რომელიც ამტკიცებს, რომ ვაჟა-ფშაველას მხოლოდ პროზა ვარგა. აშკარად უნდა ითქვას, რომ ვაჟას პროზა უსათუოდ ჩამოუვარდება პოეტური სახეების სიღრმით, ძლიერებითა და პათოსით მის ლექსებსა და პოემებს. მაგრამ პროზაშიაც ვაჟა მაინც ვაჟაა, დიდი პოეტი და სიტყვის ოსტატი.

როგორც პოემებში, ისე პროზულ ნაწარმოებში ვაჟა-ფშაველა უმთავრესად მთის ცხოვრებას, იქაურ ადამიანებს გვიხატავს. მრავლად აქვს მას იქაური სოფლის სურათები, ლეგენდები, მოგონებანი. არ შეიძლება ითქვას, რომ პროზაში ვაჟა მთის ცხოვრებას ისევე აიდეალებდეს, როგორც პოემებში. პირიქით, იგი აქ მშვენივრად ხედავს როგორც ამ სოფლის სილარიბეს (მრავალი [illegible] სათაურით — [illegible] და სხვ.), ისე მის ჩამორჩენილობასა და პრიმიტიულობას. მაგრამ მას მაინც გატაცებით უყვარს ეს პრიმიტიული ადამიანები და მათი ცხოვრება; ვაჟა ერთგვარი დაცინვის ღიმილით, მაგრამ მაინც სიყვარულით შესცქერის მათ. მშვენიერი სურათები აქვს ვაჟას გაზაფხულის, ზამთრისა, ნადირობისა („დათვი" და სხვ). ბლომად აქვს აგრეთვე ნარკვევის მსგავსი ნაწარმოებები, რომლებშიაც გესლიანად დასცინის ადამიანის სიცრუეს, ღვარძლსა და [illegible] („ბაგრატ ზაზარიძის სიკვდილი", კიკვაძის ამბავი „სოფლის სურათებში" და სხვ.). აქ ვაჟა-ფშაველა უშუალოდ განიცდის როგორც როგორც ქართველი ხალხოსნების გავლენას. [illegible] ამბავში გ. [illegible] ნაწარმოებიდან ციტატაც კი მოჰყავს და თავის ნაწარმოებში ურთავს. აქ ვაჟა-ფშაველა ნაკლებად ორიგინალურია და თავისი ჩვეულებრივი ძალოვნება აკლია.

მაგრამ აბა, ახლა გადახედეთ მის ნაწარმოებთა მეორე წყებას! აქ მთელი ბუნება ცოცხლდება და ადამიანის ენით გველაპარაკება! რამდენი სიყვარული და გაგებაა ამ ბუნებისა და მისი ქმნილებისა! რა ახლობელნი და ადამიანური, დიახ ადამიანურნი არიან ვაჟა-ფშაველას მტრედები, საწყალი ჩხიკვი, შვლის ნუკრი, [illegible] ჩხიკვები, ხმელი წიფელი, [illegible], მთის წყარო, ქარი, [illegible]! ვაჟა აქ მართლაც ნამდვილი პანთეისტია და [illegible] შეგნება აქვს იმისა, რომ რაც კი რამ ქვეყნად არსებობს:

ყველასაც თურმე ენა აქვს,
არა ყოფილა უენო.

გადიკითხეთ მისი ეს ტომი და ღრმად დარწმუნდებით, თუ რამდენი უშუალობა, სიცოცხლე, სიყვარული და მთის [illegible] სიახლეა მშვენიერი ქართულით დაწერილ ყოველ მის სტრიქონში.

ცალკე უნდა აღინიშნოს ვაჟას პიესები, რომლებიც აგრეთვე მთიელების ცხოვრებას ეხებიან. აქ შესანიშნავია დიალოგი, რომელიც უდიდეს და შესანიშნავ ლინგვისტურ მასალასაც იძლევა. საერთოდ კი, აქ უმთავრესად სცენებია და ნამდვილი პიესა თითქმის ვერც ერთს ვერ დაერქმევა.

საინტერესოა დამატებაში მოთავსებული „პრო დომო სუა" და „ჩემი წუთისოფელი", ეს უკანასკნელი ავტობიოგრაფიას წარმოადგენს, სამწუხაროდ, იგი მხოლოდ ნაწყვეტია, თორემ რომ დაემთავრებინა, ვაჟას „ჩემ თავგადასავალზე" ნაკლები ნაწარმოები არ შეემატებოდა ქართულ მწერლობას.

წიგნი გარეგნად კარგად არის გამოცემული.

რედაქტორს ა. აბაშელს ეს ტომიც ისეთი დიდი სიყვარულით და გულმოდგინებით აქვს დამუშავებული, როგორც წინა ტომები. შენიშვნებსა და ბიბლიოგრაფიაში მოყვანილია სულ მცირეოდენი განსხვავებაც კი ტექსტის სხვადასხვა ვარიანტებში. აღსანიშნავია ქართული წიგნისათვის, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მიუღწეველი იდეალი: ამ მოზრდილ ტომში თითქმის სრულიად არ მოიპოვება კორექტურული შეცდომები იმ ორიოდეს გარდა, რომლებიც ბოლოშია გასწორებული. ძალიან უხერხულია, რომ პროფ. ა. შანიძის მიერ ამ ტომისათვის შედგენილი ლექსიკონი მხოლოდ მეორე ნაწილში დაიბეჭდება. მკითხველისათვის ეს თითქმის სრულიად გამოუსადეგარი ამბავია, რადგან რასაკვირველია, იგი ვერ დაუცდის შემდგომ ტომს.

სახელმწიფო გამომცემლობამ ვაჟა-ფშაველას შემდეგი ტომების გამოშვება უნდა დააჩქაროს.

გ. რაჭვილიშვილი.

◇ ◇ ◇

კბილებით გამდიდრებულნი

ამიერ-კავკასიისა და შავი ზღვის რკინიგზების ცხაკაიას საექსპლოატაციო უბნის ჯანმრთელობის განყოფილების უფროსად მუშაობს ექიმი ტრიფონ ჩანტლაძე.

ჩანტლაძემ შარშან თებერვალში სტომატოლოგიური კაბინეტის გამგედ მოიწვია კბილის ტექნიკოსი აკაკი ნიშნიანიძე, ეს იმ დროს, როცა ამ ადგილს თხოულობდა ორი სტომატოლოგი უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი ექიმი. ჩანტლაძემ ბოლოს, როგორც იყო, დანიშნა ერთი სტომატოლოგი ექიმი ვ. შეროზია, მაგრამ კბილის ტექნიკოსი ნიშნიანიძე ექიმის მოვალეობის აღმასრულებლად მაინც დასტოვა. ექ. ვ. შეროზიამ ჩანტლაძეს სამართლიანად შენიშნა, კბილის ტექნიკოსს არა აქვს უფლება არც შეუძლია იმუშაოს სტომატოლოგადო. ჩანტლაძემ ეს შენიშვნა არაფრად მიიჩნია, თავისი არ მოიშალა და საპროტეზო დარგი, რომელიც სათუთ სამუშაოს წარმოადგენს, კბილის ტექნიკოსს მიანდო.

ცხაკაიას რაიონის ჯანმრთელობის განყოფილებამ ჩანტლაძეს ამის შესახებ მიმართვაც კი გაუგზავნა, სადაც ნათქვამი იყო, შეუძლებელია სტომატოლოგიური კაბინეტი არასპეციალისტს ჩააბაროთო. ჯანმრთელობის განყოფილებაში ნიშნიანიძემ თვითონ აღიარა, რომ ის არ არის კბილის ექიმი და კბილის საექიმო პრაქტიკის წარმოებაზე უარი განაცხადა. ამაზე მან სათანადო ხელწერილიც კი დასწერა. მაგრამ ჩანტლაძემ სრულებით არ მიაქცია ჯანდაცვის განყოფილების ამ მიმართვას ყურადღება და ნიშნიანიძე კვლავ დასტოვა სტომატოლოგად ექ. შეროზიასთან. ჩანტლაძეს ნიშნიანიძის დაცვის დროს „ანგარიში" ამოქმედებს, მას თავისი „მუცლის ტკივილი" აქვს. ნიშნიანიძე თითო კბილის გაკეთებაში ღებულობს 20—25—30 მანეთს, ნაცვლად 7-8 მანეთისა. ნიშნიანიძის მიერ დაწერილი ცნობის, თანახმად 1936 წლის 1 იანვრამდე თვით ნიშნიანიძის მიერ გაკეთებულია 150 ხელოვნური კბილი, რომლის საფასური აღწევს დაახლოვებით 11,000-12,000 მანეთს. ეს თანხა არსად არ არის შემოსავალში გატარებული, არც ქვითარშია აღნიშნული, უდაოა, ეს თანხა ნიშნიანიძემ და ექ. ჩანტლაძემ მიითვისეს. მოსახლეობაში ხშირად გაიგონებთ, ჩანტლაძე და ნიშნიანიძე კბილებმა გაამდიდრაო.

ექ. შეროზიამ ჩანტლაძეს წერილობით განცხადება მისცა, სადაც ის ითხოვდა: მოემარაგებინა სტომატოლოგიური კაბინეტი სათანადო ხელსაწყოებით, ექიმი და ტექნიკოსის უფლებები რიგიანად ყოფილიყო გასაზღვრული. შემოღებული უნდა ყოფილიყო ხელოვნური კბილის გაკეთების კანონიერი ნიხრი, შემოსავალ-გასავლის საქვითარო სპეცწიგნი და ავადმყოფთა სარეგისტრაციო ჟურნალი. ასეთ კანონიერ განცხადებას ჩანტლაძემ ასეთი რეზოლუცია წააწერა; „ვინაიდან ექ. შეროზია ვერ ეგუება რკინიგზის პოლიკლინიკის წესებს, მოხსნილ იქნას სამუშაოდანო". მაგრამ ჩანტლაძემ ეს სასჯელი ბოლოს შესცვალა.

აქედან დაიწყო ექ. ჩანტლაძემ სტომატოლოგ — ექიმის ვ. შეროზიას დევნა.

ვ. შეროზიამ ეს საკითხი სათანადო ორგანოში განასაჩივრა. ჩანტლაძემ საპასუხოდ ექ. შეროზია სამუშაოდან მოხსნა. მაგრამ კომისიამ, რომელიც გამოჰყო ცხაკაიას ჯანმრთელობის განყოფილებამ, კვლავ აღადგინა შეროზია, როგორც უდანაშაულოდ მოხსნილი. ამ დროს ექ. ჩანტლაძემ მიმართა შემდეგ ხერხს: კბილის ტექნიკოსი ნიშნიანიძე ვითომ შვებულებაში გაუშვა, ნამდვილად კი ოჩამჩირის სტომატოლოგიურ კაბინეტში საზიაროდ ამუშავა,

ამის შემდეგ ჩანტლაძემ ექ. შეროზიას კვლავ მიართვა ბრძანების ამონაწერი: გინდა თუ არა უნდა იმსახურო კბილის ტექნიკოსთან თანასწორ უფლებებითო. ბოლოს ავადმყოფობის გამო შვებულებაში მყოფ შეროზიას ჩანტლაძემ ბინაზე, გაუგზავნა მოხსნის ქაღალდი. მოხსნის მიზეზად მას კბილის ტექნიკოსთან შეუთავსებლობა მოჰყავდა. ექ. ვ. შეროზიას მოშორებამ ჩანტლაძე—ნიშნიანიძეს ხელფეხი გაუხსნა. მათ თავისუფლად შეუძლიათ ითარეშონ, „კბილის შემოსავლით" გამდიდრდნენ, ხელი მოითბონ, სანამ ამიერკავკასიის რკინიგზების სანიტარული განყოფილება ალაგმავდეს მათ.

გ. ფაჩულია.

◇

საკოლმეურნეო მინდვრებიდან

ფერმამ 19000 მანეთი მოგვცა

სოფ. ჰალადიდის (ფოთის რაიონი) ელიავას სახელობის კოლმეურნეობას მოწყობილი აქვს მეცხოველეობის ფერმა. ამჟამად ფერმაში არის 19 კამეჩი, 13 სული ორწლიანი ნამატი და 18 ზაქი. გასულ წელს ფერმამ ნამატი მთლიანად შეინარჩუნა და კოლმეურნეობას 19.000 მანეთი შემოსავალი მისცა. წელს 22 კამეჩმა უნდა მოიგოს. ფერმის გამგემ ამხ. პოპუამ და კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ალანიამ ყოველგვარი წინასწარი პირობა შექმნეს, რომ უკლებლივ შეუნარჩუნონ წლევანდელი ნამატი და გადიდდეს პროდუქტიულობაც.

გ. კვახაძე.

მოხუცი სტახანოველი

მარტვილი. სამსონ ხარებავა 73 წლისაა. მიუხედავად ამისა, იგი სოფ. კიწიის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველად ითვლება. ნორმებს გადაჭარბებით ასრულებს. პირველ მაისამდე მან 118,8 შრომადღე გამოიმუშავა. წინათ სამსონი უმიწაწყლო გლეხი იყო და თავდადებით იბრძოდა მემამულეებისა და თავად-აზნაურების წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობაში შევიდა, შეძლებულად ცხოვრობს, ფულიც საკმარისად აქვს და სიმინდიც. საკოლმეურნეო შემოსავლით ოთხოთახიანი ოდა აიშენა, იყიდა ძროხა და ცხენი.

ა. ხაინდრავა.

პ. კიკალიშვილი

საქ. ექიმთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე

ექიმთა საზოგადოების პირველი ყრილობა

დღეს, 30 ივნისს, გაიხსნება საქართველოს ექიმთა სამეცნიერო საზოგადოების პირველი ყრილობა. ყრილობა განიხილავს ექიმთა საზოგადოების საქმიანობას, აღნიშნავს ამ საქმიანობის დადებითსა და უარყოფით მხარეებს და დასახავს იმ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება უზრუნველჰყოფს ექიმთა საზოგადოების წინაშე დასმულ ამოცანათა გადაჭრას.

როგორია ეს ამოცანები?

ხალხთა დიდი ბელადის ამხ. სტალინის მითითებით, სოციალისტური მშენებლობის დღევანდელ ეტაპზე უმთავრესი მნიშვნელობა აქვს კადრების საკითხის გადაჭრას, ამ მითითების მიხედვით, ექიმთა საზოგადოებამ მთავარ ამოცანად დაისახა საბჭოთა ექიმის მუშაობის ხარისხის მაღალ დონეზე აყვანა.

ექიმთა სამეცნიერო საზოგადოების მიზანია თავისი სხდომები გადააქციოს სამედიცინო მეცნიერების დაუფლების სკოლად: ეს დაუფლება უნდა ხდებოდეს მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის საფუძველზე, რადგან ნამდვილი მეცნიერული მუშაობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა მას საფუძვლად უდევს დიალექტიკურ-მატერიალისტური მეთოდოლოგია. ამის მიღწევა თავის მხრივ შესაძლებელია მაშინ, თუ ექიმები საფუძვლიანად შეითვისებენ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრებას.

ამ მიზნით საქართველოს ექიმთა საზოგადოებამ გასულ წელს ტფილისში ჩამოაყალიბა მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელი კურსები. ამ კურსებმა წელს სამოცი ექიმი გამოუშვა: მიმდინარე წლის მარტიდან კვლავ მოეწყო მარქსიზმ-ლენინიზმის კურსები, რომელზედაც 250 ექიმი სწავლობს. ასეთივე კურსების დაარსების სურვილს გამოსთქვამდნენ საქართველოს რაიონებსა და სოფლებში მომუშავე ექიმები, მაგრამ ექიმთა საზოგადოებამ უსახსრობის გამო კურსების ჩამოყალიბება ვერ შესძლო. საბჭოთა ექიმის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით და მატერიალისტურ-დიალექტიკური მეთოდოლოგიით შეიარაღება გადაუდებელი ამოცანაა. ყრილობამ გულდასმით უნდა განიხილოს ეს საკითხი და გამონახოს საშუალებანი ამ ამოცანის გადასაჭრელად.

საბჭოთა ექიმის მუშაობის ხარისხის მაღალ დონეზე აყვანისა და ეფექტიანობისათვის, გარდა სამედიცინო მეცნიერების დაუფლებისა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოსახლეობამაც იცოდეს, შეითვისოს სანიტარულ-ჰიგიენური მინიმუმი. ექიმთა საზოგადოება თავის ამოცანად ისახავს გაავრცელოს მშრომელთა ფართო მასებში ეს სანიტარულ-ჰიგიენური ცოდნა პოპულარული ლექციებისა და მოხსენებების გაკეთებით. ეს ამოცანა მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოების მთავარ ამოცანასთან და მისი შესრულება საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

საბჭოთა ექიმის მუშაობის ეფექტიანობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე. წ. ფსიქოლოგიურ ფაქტორს. საქმე ისაა, რომ დაავადებულ ადამიანზე დიდ გავლენას ახდენს ექიმის ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად, ავადმყოფის რწმენა და ნდობა მკურნალი ექიმისადმი: ავადმყოფს ეს ნდობა შეექმნება მკურნალი ექიმის მხრივ არა მარტო ცოდნის გამოაშკარავებით, არამედ ავადმყოფისადმი ადამიანური, ლმობიერი და გულთბილი მოპყრობითაც.

ექიმთა საზოგადოების ამოცანაა —აღუზარდოს და განუმტკიცოს საბჭოთა ექიმებს ავადმყოფისადმი სათუთი, ლმობიერი და გულთბილი მოპყრობის გრძნობა. ამის მიღწევა მაშინ შეიძლება, თუ კი დაუნდობლად გამოვააშკარავებთ ავადმყოფისადმი გულგრილი ბიუროკრატიულ-ფორმალური მოპყრობის შემთხვევებს, საჯაროდ გავკიცხავთ და დავსჯით უსულგულობას.

საქართველოს ექიმთა სამეცნიერო საზოგადოებას განსაზღვრული მიღწევები აქვს თავის მუშაობაში: საზოგადოების მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ნაცვლად დაქსაქსული და ერთმანეთთან დაუკავშირებელი საზოგადოებებისა (ტფილისი, გორი, ქუთაისი, ბათომი, სოხუმი და სხვ.), დღეს არსებობს საქართველოს ექიმთა ერთიანი სამეცნიერო საზოგადოება.

საზოგადოებად გაერთიანებულია საქართველოში მომუშავე 3070 ექიმიდან 1584. თუმცა წარსულთან შედარებით საზოგადოების წევრთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ წევრთა დღევანდელი რაოდენობა მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი. ამ ნაკლის გამოსწორება შესაძლებელია არა მარტო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოების მეყაითი მუშაობით, არამედ თვით საბჭოთა ექიმების აქტივობითაც.

ყოველ საბჭოთა ექიმს უნდა ახსოვდეს, რომ იგი ათასი უხილავი ძაფით არის დაკავშირებული საბჭოთა საზოგადოებრიობასთან და ამ საზოგადოების გარეშე მისი ცხოვრება და საქმიანობა შეუძლებელია. ექიმთა სამეცნიერო საზოგადოება კი სამედიცინო საბჭოთა საზოგადოებრიობას წარმოადგენს და საბჭოთა ექიმის ამ საზოგადოების გარეშე ყოფნა მიუტევებელია, [illegible] ჩაბარდა ის დრო, როცა ინტელიგენციის ნაწილს, კერძოდ ზოგიერთ ექიმსაც, არ სწამდათ, რომ პროლეტარიატს შეეძლო თავისი საკუთარი ძალებით აეგოს სოციალისტური საზოგადოება. ამიტომ მათ ზურგი ჰქონდათ შექცეული პროლეტარული სახელმწიფოს პოლიტიკისა და პრაქტიკისათვის. დღეს ყველა ნათლად ხედავს ასეთ ურწმუნოების უსაფუძვლობას და გულწრფელად მონაწილეობს სოციალისტური საზოგადოების შენებაში, ამ საქმეში ეფექტიანად მონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა საზოგადოებრიობის საშუალებით, რომელსაც საქართველოს ექიმთა სამეცნიერო საზოგადოება წარმოადგენს. ყრილობამ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს, რომ არცერთი ექიმი არ დარჩეს ექიმთა საზოგადოების გარეთ.

ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და ამ მიზნით პლენარული სხდომების გადაქცევისათვის ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების სკოლად ტფილისში ვერ შეიქმნა ისეთი პირობები, რომლებიც საამისოდ საჭირო იყო. პლენარულ სხდომებს, ნაკლებად ესწრებოდნენ ჩვენი დამსახურებული და გამოცდილი მეცნიერი მუშაკები, მხოლოდ მათი უმნიშვნელო ნაწილი კითხულობდა მოხსენებებს. ყრილობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას და თავიდან აიცილოს ეს ნაკლი.

ტფილისში ექიმთა საზოგადოების ხელმძღვანელობით 16 სამეცნიერო სექცია მუშაობს, ამ სექციებმა საერთოდ მნიშვნელოვანი მეცნიერული მუშაობა შეასრულეს, თუმცა ზოგი სექცია ამ მხრივ ძალიან მოისუსტებს. სექციების მუშაობას აქვს ერთი დიდი ნაკლი, რომელიც საზოგადოებრივი დისციპლინის სისუსტესა და გამგეობის მითითებათა უგულებელყოფაში გამოიხატება.

ექიმთა ავტონომიურ, საოლქო და რაიონულ საზოგადოებებში მუშაობა საერთოდ გაცხოველდა, მუშაობის ხარისხი ამაღლდა, მაგრამ ზოგი საზოგადოების მუშაობა მოისუსტებს, სწორედ ამიტომ ყრილობის დღის წესრიგში დასმულია „მოხსენებანი ადგილებიდან", საიდანაც ნათელი გახდება ამ სისუსტის მიზეზი და დაისახება ღონისძიებანი მის გამოსასწორებლად.

საზოგადოებრივი დისციპლინის სისუსტე რაიონებსაც ახასიათებს. გამგეობის წერილობით მიმართვაზე პასუხს ან სულ არ იძლევიან, ან დიდი დაგვიანებით, ეს აფერხებს გამგეობის საქმიანობას და მის გეგმიან მუშაობას. საზოგადოების მუშაობის ერთერთ მთავარ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ საზოგადოების მუშაობაში განმტკიცებული არ არის სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა.

საზოგადოებას თავის მუშაობაში მიღწევებიც აქვს, ეს გამოიხატება ცენტრსა და რაიონში სამეცნიერო-საზოგადოებრივი მუშაობის გაცხოველებით, ექიმთა საზოგადოებრიობას ავტორიტეტის ამაღლებით, ცენტრსა და ადგილებს შორის ცოცხალი, საქმიანი კავშირის დამყარებით, მოძმე რესპუბლიკების (უკრაინა, აზერბეიჯანი, სომხეთი) ექიმთა საზოგადოებებთან დაკავშირებით და საერთოდ საბჭოთა კავშირის ექიმთა საზოგადოებრიობის აქტიურ მონაწილედ გახდომით.

ყრილობა მოწოდებულია ნაკლიცა და მიღწევაც გაითვალისწინოს და სათანადო სახელმძღვანელო ღონისძიებანი დასახოს.

წინ ბევრი სიძნელე გვიძევს, მაგრამ მომავალს სრული რწმენით შევცქერით. სოციალისტური სახელმწიფოს აყვავების ხანაში, სტახანოვური მოძრაობის პერიოდში საზოგადოებას არ შეაშინებს ეს სიძნელენი — იგი გადალახავს მათ და თავისი მოღვაწეობით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენს საამურ და ბედნიერ ცხოვრებაში.

◆

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში მემარჯვენეთა იერიში დამარცხდა

პარიზი, 27 ივნისი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში მემარჯვენე დეპუტატებმა კვლავ მიიტანეს იერიში მთავრობაზე, აგრეთვე კომუნისტებზე. ამ შემთხვევაში იერიშის მისატანად მათ გამოიყენეს ქუჩის ინციდენტები, რომლებსაც რამდენიმე დღის წინათ ადგილი ჰქონდა მარსელში. ლაპარაკია ფაშისტების მიერ პროვოკაციული გზით გამოწვეულ შეტაკებებზე.

კომუნისტთა წინააღმდეგ მიმართულ თავდასხმებს შეუერთდა სოციალისტი დეპუტატი რაიმონ ვიდალი. სხდომის შემდეგ სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის ამხანაგმა ფევრიემ განაცხადა, რომ ვიდალი გამოვიდა არა ფრაქციის დავალებით, არამედ თავისი საკუთარი სახელით.

შინაგან საქმეთა მინისტრმა სალანგრომ მემარჯვენეთა იერიშის პასუხად განაცხადა, რომ მემარჯვენეებმა მეტისმეტად გააზვიადეს მარსელის ინციდენტების მნიშვნელობა.

შემდეგ სალანგრომ კატეგორიულად გაილაშქრა იმ აზრის წინააღმდეგ, რომ საგაფიცვო კონფლიქტებში ჩაერიოს შეიარაღებული ძალა. მან მოიყვანა ცნობები უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში საგაფიცვო მოძრაობის განვითარების შესახებ: მდგომარეობის ყველაზე მეტად გამწვავების მომენტში გაფიცული იყო 1.150 ათასი კაცი, ახლა კი დარჩა დაახლოვებით 160 ათასი კაცი. ჩრდილოეთის სამრეწველო რაიონში 333 ათასი გაფიცულიდან მუშაობა განაახლა 302 ათასმა კაცმა. სენის დეპარტამენტში გაფიცული იყო 398 ათასი კაცი, ამჟამად კი გაფიცულია სულ 9 ათასი. თუ ზოგიერთი კონფლიქტი ჯერ კიდევ ჭიანურდება, — განაგრძობს სალანგრო, — ამაში დამნაშავეა ზოგიერთი მეწარმენი, რომლებიც მერყეობას იჩენენ. სალანგრომ ხაზგასმით აღნიშნა ის გარემოება, რომ მოძრაობა წარმოშვა სილატაკემ: ხელფასის მრავალგზის შემცირებამ. დეფლაციის ულმობელმა პოლიტიკამ გააუარესა მშრომელთა ცხოვრების პირობები; რაციონალიზაცია დღითიდღე აუარესებდა შრომის პირობებს. მშრომელებს, — განაცხადა სალანგრომ, — ძალიან ხშირად არ აძლევდნენ იმის უფლებას, რომ შეკრებილიყვნენ თავიანთი ინტერესების დასაცავად. სალანგრომ მიმართა საზოგადოებრივი მომსახურების საწარმოთა მუშებს და მოსამსახურეებს თხოვნით, ნუ გაართულებთ მთავრობის მდგომარეობასო. მან გამოსთქვა რწმენა, რომ საფრანგეთის მუშები „თავიდან აიცილებენ ყოველგვარ აქტს, რომელსაც შეუძლია აამხედროს მათ წინააღმდეგ საშუალო კლასები, ან გლეხები და შეანელოს რესპუბლიკელთა პატივისცემა საზოგადოებრივი თავისუფლებისადმი“. (ადს).

◇

ედგარ ანდრეს ხსნისათვის

პრაგა, 28 ივნისი. ცნობამ, რომ პროკურორმა ჰამბურგის პროცესზე ედგარ ანდრესათვის სასიკვდილო განაჩენი მოითხოვა, ჩეხოსლოვაკიაში ძლიერი აღშფოთება გამოიწვია. გაზეთი „რუდე პრავო“ მოუწოდებს მუშებს გააჩაღონ კამპანია ანდრეს ხსნისათვის. ჩეხოსლოვაკიის 8 ცნობილმა იურისტმა ლიგის — „უფლებისა და თავისუფლებისათვის“ სახელით ჰამბურგის სასამართლოს საპროტესტო დეპეშა გაუგზავნა. ლიგამ, როგორც ვიცით, ამ ცოტა ხნის წინათ მოაწყო ანდრეს კონტრპროცესი. კონტრპროცესის მასალები ჰამბურგის სასამართლოს გადაეგზავნა; ამასთან ლიგა სასამართლოსაგან მოითხოვდა იმ მოწმეთა გამოძახებას, რომლებმაც ანდრეს საქმეზე პრაგაში ჩვენება მისცეს. ჰამბურგის სასამართლომ უარჰყო მოწმეთა გამოძახების მოთხოვნა. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საქ. კორესპონდენტისაგან)

ახალი საბჭოთა კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს კოლმეურნენი უკვე ფიქრობენ მომავალ კანდიდატებზე, იმაზე, თუ ვინ უნდა აირჩიონ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში.

— როგორ და ვის ირჩევდით წინათ? ვის აირჩევთ ახლა? ასეთი კითხვებით მიმართა „იზვესტიას“ რედაქციამ მთელ რიგ კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილას. 28 ივნისს, გაზეთმა გამოაქვეყნა რამდენიმე მიღებული პასუხი. ეს პასუხები გამოხატავენ საკოლმეურნეო სოფლის განწყობილებას. სოფელი მხურვალედ მიესალმება საბჭოთა დემოკრატიის შემდგომ გაფართოებას. ეს პასუხები მოწმობენ, თუ როგორ უსაზღვროდ უყვართ კოლმეურნე მასებს ბოლშევიკების პარტია და ხალხთა ბელადი ამხანაგი სტალინი, მოწმობენ მათს მტკიცე სურვილს აირჩიონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებში, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში თავისი ქვეყნის საუკეთესო ადამიანები. ეს პასუხები გვიჩვენებენ, თუ როგორი აქტივი გაიზარდა საკოლმეურნეო სოფელში, ისინი არიან კოლმეურნეები, კოლმეურნე ქალები, ბრიგადირები, ტრაქტორისტები, კომბაინერები, მასწავლებლები, აგრონომები. ხალხი იცნობს თავის საუკეთესო ადამიანებს, ხმას მისცემს მათ.

○

29 ივნისს მოსკოვში გაიხსნება პიონერ-ოქტომბრელთა სახლი. უკვე დამთავრდა უკანასკნელი სამუშაოები სახლის გასახსნელად. ამ სახლის შექმნას შეუწყეს ხელი დედაქალაქის უდიდეს ქარხანათა და საწარმოთა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებმაც ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვის თაოსნობით დაამზადეს თითქმის მთელი სასწავლო მოწყობილობა. სახლმა მიიღო აუარებელი საჩუქრები მოსკოვის საწარმოებისაგან, მთელი რიგი სახალხო კომისარიატებისაგან, პროფკავშირებისაგან, სხვადასხვა სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტებისაგან, თვითმოქმედი წრეებისაგან. სახლის მუშაობაში ჩაბმული არიან მეცნიერებით, ტექნიკითა და ხელოვნებით გატაცებული ნიჭიერი ბავშვები და ამ გზით იქ შეიქმნა მრავალი ორიგინალურად მოწყობილი საინტერესო ლაბორატორიები ავიაციის, ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, ქიმიის, რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის, ფოტოს, კინოს, ლითონისა და ხის დამუშავების დარგში. თავისი კაბინეტი ექნებათ ნორჩ გამომგონებლებს. მოწყობილია სადემონსტრაციო დარბაზი, სადაც თვითეულ პიონერს, მოწაფეს შეუძლია გვიჩვენოს თავისი საუკეთესო მოდელი, გამოგონება თუ სათამაშო.

სურათზე: ახლად კურსდამთავრებული ექიმები: (მარცხნიდან მარჯვნივ): ლევ. შონია, თამარ კაჩუხაშვილი, მ. მამარდაშვილი ბ. გურგენიძე, პიმენ ჩუბუნიძე, ქვემოთ — ილ. აბულაძე, რინა ზაალიშვილი, ტასო სარჯველაძე, რუბენ ლირდალაძე და ნოე ლომიძე.

ექიმთა და ფარმაკოქიმიკოსთა ახალი კადრები

პროფ. კლ. ციმაია

დღეს, 30 ივნისს, ტფილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი 400 ექიმსა და ფარმაკოქიმიკოსს გამოუშვებს.

აღნიშნული კადრების დიდი უმრავლესობა საქ. ჯანსახკომმა სოფლად განაწილა.

ახალგაზრდა საბჭოთა ექიმები სოფლად დიდი ენტუზიაზმით მიდიან, რაც იმის თავდებია, რომ თავიანთ მოვალეობას პირნათლად შეასრულებენ.

1936 წ. გამოშვება, უდავოა, უფრო კვალიფიციურია, ვიდრე წინა წლებში.

ინსტიტუტის პროფესურა დღეს ბევრად უფრო მეტ ცოდნას მოითხოვს სტუდენტებისაგან, უკანასკნელნიც ვალდებული არიან როგორც ცოდნის, ისე დისციპლინის მხრივ გაზრდილ მოთხოვნებს უფრო მაღალი მომზადებით უპასუხონ.

წელს კურსდამთავრებულ ექიმებს სახელმწიფო კომისიამ ბევრად მეტი ცოდნა მოსთხოვა, რის შედეგად უფრო კვალიფიციურ ექიმებს ვუშვებთ.

ახალგაზრდა ექიმების მოვალეობაა: გაუწიონ მშრომელთ კვალიფიციური მკურნალობა, აწარმოონ სანიტარულ-პროფილაქტიკური მუშაობა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ყოველგვარ საზოგადოებრივ მუშაობაში, დაუახლოვდნენ მშრომელთა ოჯახს.

ამასთან ერთად ექიმებს მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეთ თავის სამეცნიერო ცენტრთან და არ ჩამორჩნენ საექიმო მეცნიერებას, დროგამოშვებით ჩამოვიდნენ ექიმთა გადასამზადებელ კურსებზე. ზოგიერთი მათგანი მუდმივად გადმოყვანილ უნდა იქნას კლინიკებში, ინსტიტუტებში, როგორც მომავალი მეცნიერები.

მედინსტიტუტისა და პროფესურის მოვალეობაა ყოველმხრივ გააუმჯობესონ ის ბაზა, სადაც ექიმი იზრდება. კლინიკები, კათედრები ჩქარი ტემპით უნდა მოეწყოს ისე, რომ ისინი გაზრდილ მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ.

პედაგოგიური და მეცნიერული მუშაობა უნდა გაღრმავდეს, კლინიკებში და კათედრებთან სტუდენტებისათვის მოეწყოს ლაბორატორიები, კონსულტაციები, ბიბლიოთეკები, სადაც ბლომად უნდა მოიპოვებოდეს როგორც საბჭოთა კავშირის, ისე ევროპული სამეცნიერო ლიტერატურა.

ტფილისის სამედიცინო ინსტიტუტის დირექციამ, პარტიულმა, პროფესიულმა ორგანიზაციებმა, პროფესურამ ყოველი ზომა უნდა მიიღონ „უმაღლეს სასწავლებელთა მუშაობისა და უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელობის შესახებ“ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით გამოცემული დადგენილების ღირსეულად განხორციელებისათვის, რათა მშრომელთ საუკეთესო ექიმები მიეცეთ.

საქ. მრეწველობის ექსპონატები

პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გამოჰყო სპეციალური კომისია პარიზის 1937 წლის საერთაშორისო გამოფენისათვის ექსპონატების ფონდის მოსამზადებლად.

გამოფენის „სახვითი ხელოვნებისა და მხატვრული მრეწველობის“ განყოფილებაში გათვალისწინებულია საუკეთესო მხატვრულ ნაწარმთა ჩვენება, რომლებსაც ამზადებენ საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალი საწარმოები. კომისიას წინადადება მიეცა დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს ყველა საწარმოს მხატვრულ ნაწარმთა ექსპონატების შერჩევისა ან დამზადებისათვის სრულიად საკავშირო სავაჭრო პალატაში (მოსკოვი) გასაგზავნად არა უგვიანეს მიმდინარე წლის 20 სექტემბრისა.

საბავშვო სპარტაკიადა

ბათომი, 27 ივნისი. ბათომის სკოლებში სასწავლო წლის დამთავრების აღსანიშნავად 27 ივნისს, საღამოს, სტადიონზე გაიხსნა ქალაქის საბავშვო სპარტაკიადა. სპარტაკიადის გახსნამდე აქვე გაიმართა ფიზკულტურელ მოწაფეთა დიდი პარადი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ათასამდე ბავშვმა.

ყველა სკოლაში იმართება გამოსაშვები საღამოები.

30-15 საშუალო სანიმუშო სკოლის 1-ლი კლასის ფრიადოსანი მოწაფენი, რომლებიც საუკეთესო წარმატებებისათვის დაჯილდოვებულნი არიან ქების სიგელებით. **სურათზე:** სიგელებით დაჯილდოვებული მოწაფენი მარცხნიდან მარჯვნივ: ნელი ტუემალაძე, ჯიმშერ კაიშაური და თინა ცხადაია.

რუსთაველის თეატრის გასტროლები მოსკოვში

რუსთაველის სახელობის თეატრი მოსკოვში, საგასტროლოდ გაემგზავრება აგვისტოს დამდეგს. თეატრი მიემგზავრება მთელი შემადგენლობით, თავისი დეკორაციებით, კოსტუმებითა და ბუტაფორიით.

გასტროლები დაიწყება აგვისტოს 20 რიცხვებში და გასტანს სექტემბრის დამდეგამდე. წარმოდგენები გაიმართება ვახტანგოვის სახელობის თეატრის შენობაში. ამ ხნის განმავლობაში ნაჩვენები იქნება სამი პიესა: „არსენა“ — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ს. შანშიაშვილისა, „შემოდგომის აზნაურები“ — ს. კლდიაშვილისა და „ანზორი“ გადაკეთებული ს. შანშიაშვილის მიერ. სულ გათვალისწინებულია 14 წარმოდგენის გამართვა.

რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივი იმავე შენობაში გამართავს თეატრალური ფესტივალის სპექტაკლს, რომლისთვისაც არჩეულია პიესა „არსენა“.

თავის ახალ სეზონს ტფილისში თეატრი დაიწყებს ოქტომბრის დამდეგს.

◇

ახალი პედაგოგები

ახალციხე, 27 ივნისი. დღეს შესდგა ახალციხის პედაგოგიური ტექნიკუმის მსმენელთა გამოშვება. ტექნიკუმმა გამოუშვა 56 მასწავლებელი, მათ შორის 24 ქალია.

გამოშვებულთა რიცხვიდან 29 კაცი რჩება რაიონის ფარგლებში, ხოლო დანარჩენები იმუშავებენ მეზობელ რაიონებში.

წელს ტექნიკუმისათვის აშენდა ახალი შენობა. ახალ სასწავლო წელს ტექნიკუმში მიიღებენ 120 მოწაფეს.

◇

პიონერთა ბანაკი — სანატორიუმი

წითელი ჯვრის საქართველოს საზოგადოებამ დიდ-ცემში (წაღვერის მახლობლად) 25 ივნისს გახსნა პიონერთა ბანაკი — სანატორიუმი 112 ბავშვისათვის.

ბავშვები მოთავსებულია სკოლის შენობაში და დაქირავებულ შენობებში. სასადილო მოწყობილია ცალკე, ტყეში. სამზარეულო გამოცალკევებულია საცხოვრებელი შენობებისაგან, გამოყვანილია წყაროს წყალი. ბანაკთან არსებობს საექიმო პუნქტი.

საბავშვო თამაშობისათვის გამოყოფილია განსაკუთრებული მოედანი. ბავშვების განკარგულებაში სხვადასხვა სათამაშო და ფიზკულტურული იარაღებია. არსებობს აგრეთვე პატარა ბიბლიოთეკა.

ზაფხულში ბანაკი გაატარებს 224 ბავშვს.

◇

სატროლეიბუსო მოძრაობის პროექტი

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა მიანდოს ქალაქის ტექნიკურ განყოფილებას სატროლეიბუსო მოძრაობის პროექტის დამუშავება. ტფილისის ტრამვაის დირექციას დავალებული აქვს სათანადო ხელშეკრულება დადოს პროექტის დასამუშავებლად ქალაქის ტექნიკური განყოფილების საგზაო მშენებლობის სახელოსნოსთან.

სატროლეიბუსო მოძრაობის პროექტის დამუშავებაში მონაწილეობას მიიღებენ ტრამვაის დირექციის სპეციალისტები.

პროექტის დამუშავება უნდა დამთავრდეს აგვისტოსათვის.

აფხაზეთის მომღერალთა გუნდის კონცერტი

[illegible] დღეს ხა[illegible] აფხაზეთის სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს ახალგაზრდა ნიჭიერი ლოტბარი, განსვენებული ძველი ლოტბარის მოწაფე — ამხ. პლ. ფანცულაია.

აღნიშნული გუნდი ჩამოყალიბდა 1930 წელს და ამ დროიდან მან აფხაზეთის მშრომელთა მასებში დიდი სიყვარული და პოპულარობა მოიპოვა. ეს გუნდი მონაწილე ერთხელ იყო ტფილისში ამიერ-კავკასიის ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადაზე, სადაც პირველი ხარისხის ჯილდო მიიღო.

აფხაზეთის ეთნოგრაფიული გუნდი ასრულებს აფხაზურს, ქართულს, სვანურს, მეგრულსა და საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ხალხურ სიმღერებს. გუნდის რეპერტუარშია 150 ხალხური სიმღერა, მათ შორის მრავალი სიცეკვაო.

განსაკუთრებული წარმატებით ასრულებს გუნდი ძველ ხალხურ, ახლა უკვე დავიწყებულ სიმღერებს — „ყანსავ ყოფიაბი“ (სვანური), „კვირიელი“, „აფხერცა“ (აფხაზური), „აბამელია“ და სხვ.

გუნდის კონცერტი შესდგება დღეს, 30 ივნისს, სახელმწიფო ოპერის თეატრში საღამოს 9 საათზე.

◇

ქრონიკა

— **კრებული ფუნქციონალურ-ნერვიულ დაავადებათა შესახებ.** გამოვიდა ფუნქციონალურ-ნერვიულ დაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული პროფ. ა. კოცარიძის რედაქციით. კრებულში მონაწილეობას ღებულობენ — პროფ. ა. ალადაშვილი, პროფ. ა. ნათიშვილი, პროფ. დ. უზნაძე, პროფ. ვ. ახვლედიანი, ვ. ვარაზი, პ. ქავთარაძე და სხვ.

კრებული 46 ფორმას შეიცავს და იყიდება მედგამომცემლობისა და სახელგამის მაღაზიებში.

— **ადგილობრივი ტრანსპორტის მუშაკთა საქალაქო კონფერენცია.** პირველ ივლისს, საღამოს 8 საათზე, შინსახკომის კლუბის საზაფხულო შენობაში (ყოფ. „[illegible]“) შესდგება ავტოტრანსპორტის, ტრამვაისა და მილიციის მუშაკთა საქალაქო კონფერენცია ადგილობრივ ტრანსპორტზე ავარიებთან ბრძოლის საკითხებზე.

— **მუშათა განათლების საშუალო სკოლის გამოშვება.** დღეს, 30 ივნისს, საღ. 8 საათზე კულტურისა და დასვენების საბავშვო პარკში (ყოფ. „არტო“, პლეხანოვის ქ. № 105) შესდგება მუშათა განათლების საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა საზეიმო გამოშვება. გამოშვებაზე დასასწრებად მოწვეული არიან საწარმოთა სამკუთხედების წარმომადგენლები და მუშათა საღამოს სკოლების პედაგოგები.

◇

პარტკალენდარი

ხვალ ლადო კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

საქ. კ.პ.(ბ) ისტორიის კაბინეტი: კონსულტაცია პარტიის ისტორიის წრეების პროპაგანდისტებისათვის „სსრ კავშირის სამოქალაქო ომის ისტორიის“ გამოყენების შესახებ თემისათვის: „ბოლშევიკთა პარტია პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების პერიოდში“ — საღამოს 8 საათზე, რუსულ ენაზე.

აგიტაციის კაბინეტი: კონსულტაცია აგიტატორებისათვის თემაზე: „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში საარჩევნო სისტემის ცვლილებათა შესახებ განმარტების მეთოდები“ — საღამოს 8 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი: კონსულტაცია თემაზე: „მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია“ — საღამოს 8 საათზე.

○

— საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. ჩიხლაძესთან: ეკატერინე ეფრემის-ასული რუხაკოვა (სას.-სამ. ინსტიტუტი), გრიგოლ მეველარიას-ძე ჰელაძე (ტფილოფილთ[illegible]), არსენ ვასილის-ძე ბიბილაშვილი, არსენ დავითის-ძე ბიბილაშვილი, პ. რ. წიქორიძე, აკაკი მოსეს-ძე წიქორიძე და მელიტონ კონსტანტინეს-ძე ფირცხალავა.

— ქვემოჩამოთვლილი ამხანაგები გამოძახებული არიან 1 ივლისს, დილის 10 საათისათვის, საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტში (ოთახი № 31, ამხ. შარაშიძესთან): ამხ. ა. ზ. ჩრდილელი, მ. დ. პანჩენკო, გ. ი. იშოევი, ბ. ი. ელიევი, ი. ა. ვასილიევი, მ. პ. მოსესოვი, პ. ტ. ტამიროვი და ვ. ს. არუთინოვი.

30 ივნისი
ბალში:
2
სასულე
ორკესტრი
დასაწყისი საღ. 7 საათზე.

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (ყოფ. მუშტაიდი)

ესტრადაზე: I განყოფილება
სიმღერები და ცეკვა — ფერხული, ხორუმი შეასრულებს აჭარის გუნდი
ანანიძის ხელმძღვანელობით
II განყოფილება
გურული სიმღერები და ცეკვა (ახალი პროგრ.) გურულთა გუნდისა.

თეატრის სადგომში: ბალ-კაბარე ჯაზი
ცეკვის ანტრაქტებში — საესტრადო ნომრები.
2 პრემია 2
ქალთა ორი საუკეთესო კოსტუმისათვის (ტანისამოსისათვის).
დასაწყისი საღ. 10 საათზე. ბალის დასასრული ღამის 1 საათსა და 30 წ.
ბილეთი ბალზე 2 მანეთი.

30 ივნისი
კინო-დარბაზი:
ხმოვანი ფილმი
„კონდუიტი“
ბილეთი
პარკისა და კონცერტისათვის
1 მანეთი.
624

საკინოთეატრო [illegible]

ოქტომბერი 6-30, 8, 9-30, 11	ხმოვ. მხატვრ. კომედია „მარიონეტები“
დამკვრელი საზ.-საზამ. 6-30, 8-30, 10-30	საზაფხ. შენობაში ხმოვანი ფილმი „ცირკი“ საზამთრო შენობაში ხმ. ფილმი „ჯულბარსი“
კომკავშირელი საზ. საზამ. 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი ფრანგული ფილმი „უკანასკნელი მილიარდერი“
რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30	ხმოვანი მხატვრული ფილმი „ცირკი“
საზაფხ. ეთერი 9 ს. 11 საათ.	ბილეთების წინასწარი შეძენა კინო „ეთერის“ სალაროში 12—5 საათამდე.
26 კომუნ. სახ.	ხმოვანი ფილმი „მე დავბრუნდები“
კომინტერნი საზაფხ.	ხმოვანი ფილმი „7 მამაცნი“
ახალი ამბები დასაწყისი 6-30 წ.	1) საგანგებო გამოშვება „ა. მ. გორკის ხსოვნას“. 2) ნორჩი ტალანტები, 3) ხმოვ. ჟურნ. № 5.

30 ივნისს 1 ივლისს
საქფილმების ცენტრ. მოედანი
ყველა უნდა დაესწროს საქფილმების ცენტრალური მოედნის გახსნას
ოპერეტა როზ-მარი ○ მუსიკ-ჰოლი 1-ლი პროგრამა
სპექტაკლები გაიმართება ყოველგვარ ამინდში.
ოპერეტის დასაწყისი საღამოს სრულ 9 საათზე.
მუსიკ-ჰოლისა — სრულ 9 საათსა და 30 წუთზე.
მაყურებელთა უკეთ მომსახურებისათვის სალარო ღიაა დილის 11 საათიდან საღამოს 11 საათამდე. 628

გამოიწერეთ და გაავრცელეთ
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ორგანო
ჟურნალი
„პარტიული მშენებლობა“
„პარტიული მშენებლობის“ გავრცელების საქმეს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს გამ-ბა „კომუნისტი“ აძლევს უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას და მიმართავს ყველა პარტკომის მდივნებს და პარტორგებს — უზრუნველჰყონ მთელი პარტიული აქტივი ჟურნალით.
„პარტიულ მშენებლობაზე“ ხელისმოწერით და ყოველნაირად დაეხმარონ „სოიუზპეჩატის“ მუშაკებს ხელისმოწერის ჩატარებაში.
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს გამ-ბა „კომუნისტი“.

ტფილისის ფოტო-ტოპოგრაფიული
— ტექნიკუმი —
აწარმოებს სტუდენტთა მიღებას
1936/37 სასწ. წლისათვის.

1. ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 16-დან 30 წლამდე, რომელთაც აქვთ განათლება არასრული საშუალო სკოლის შვიდწლედის მოცულობით.
2. ტექნიკუმში არის ორი სექტორი: ქართული და რუსული.
3. ტექნიკუმში შემომსვლელნი ვალდებული არიან ჩააბარონ მისაღები გამოცდები შემდეგ საგნებში არასრულ საშუალო სკოლის პროგრამის ფარგლებში: დედა ენაში, რუსულ ენაში (ქართულ სექტორზე), მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიასა და პოლიტცოდნაში.
4. განცხადებები მიიღება ტექნიკუმში ა/წ. 1 ივლისიდან 15 აგვისტომდე. განცხადებები იწერება დირექტორის სახელზე ავტობიოგრაფიით და შემდეგი დოკუმენტების დართვით: ა) არასრული საშუალო სკოლის (შვიდწლედის) დამთავრების ატესტატი, ბ) პასპორტი (პირადი წარმოდგენით), გ) ჯანმრთელობის მოწმობა, გაცემული სახელმწიფო სამკურნალო დაწესებულების მიერ, დ) ორი ფოტოგრაფიული სურათი საკუთარი ხელის მოწერით და დაწესებულების მიერ დადასტურებული.
5. მისაღები გამოცდები ა/წ. 20-დან 25 აგვისტომდე.
6. ტექნიკუმში მიღებულნი ყველანი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.
7. სტიპენდიით უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო დებულების მიხედვით.
მისამართი: მარის ქ. № 27.
626 დირექტორი ფირცხალაიშვილი.

1-ლ ივლისს, საღ. სრ. 7 საათზე, პიონერებისა და მოსწავლეთა დასვენების პარკში (ყოფ. „არტო“), პლეხანოვის ქ. № 105,
შესდგება ტფილისის დაწყებით საშუალო და არასრული საშუალო სკოლების მუშაკთა
აქტივის კრება
დღის წესრიგი: 1) 1935/36 სასწავლო წლის შედეგები (მომხ. ქ. კაცარავა).
2) მოწინავე სკოლისა და რაიგან. განყოფილების დაჯილდოვება.
3) მხატვრული საღამო.
15139 ტფ. საბჭ. გან. განყოფილება.

სახოპერა 30 ივნისი
აფხაზეთის სახელმწიფო ეთნოგრაფიული
გუნდის
საჩვენებელი კონცერტი
პლატონ ფანცულაიას ხელმძღვანელობით.
პროგრამაში: აფხაზეთის, საქართველოს და ჩრდ. კავკასიის სიმღერები, ცეკვები, ფერხულები.
დასაწყისი საღამოს სრულ 9 საათზე.
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში. 627

თანახმად ცეკავშირის პრეზიდიუმის ა-წ. 25 მარტის დადგენილებისა № 174-ა,
მიმდინარეობს „საქკოოპმშენის“
ლიკვიდაცია
პრეტენზიების წარმოდგენის უკანასკნელ ვადად დანიშნულია ა-წ. 16 ივლისი (ლიკვიდკომის მისამართი: ტფილისი, შტაბის ქ. № 4—6, ცეკავშირი, „საქკოოპმშენის“ ლიკვიდკომი). 15108

სდგება უმაღლეს სასწავლებლისათვის
მოსამზადებელი
ჯგუფი.
პირობების გაგება დღის 12—5 საათ. გორესის ქ. № 26 ძეჟნიძესთან. საღ. 6 საათ. კალინინის ქ. № 51. 15143

ექიმი ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის დაავად.
მიღება დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 საათ. მისამართი: კამოს ქ. № 72.

ძმები: ბესარიონ და სიმონ არსენის-ძე ჩხაიძეები იუწყებიან რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი [illegible]
ნატალია ვიტის-ასული ჩხაიძისა
დაკრძალვა 2 ივლისს, ხუთშაბათს, სოფ. [illegible]. 15147

ა.-კ. სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის დირექცია, პარტკომი, პროფკომი და კომკავშირის კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ამავე ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტის აქტიური კომკავშირელის
მარია გოზალოვას
უდროოდ გარდაცვალების გამო. 15137

დამწუხრებული დედა ბუქტა, ძმები: კირილე, ელიზბარ, ტარასი შენგელაიები ცოლშვილით, და დომნიკა გეგეჭკორი ქმარშვილით იუწყებიან, რომ 4 ივლისს ზუგდიდში დანიშნულია
ოლღა სერაფიონის-ასულ შენგელაია—ანთელავას
სამოქალაქო პანაშვიდი. 15146

დამწუხრებული შვილები: ლევან, ვერა, ნინო, დავით, ლიზა, ანზორ იუწყებიან დედის
ანნა მელიას
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 1 ივლისს კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება 4 ნახ. საათზე. გოგოლის, 54. 15145

დამწუხრებულნი: მეუღლე მარიამი, შვილი ნინო, სიძე ექ. დ. ჩიტაძე, შვილიშვილები: ჟუჟუნა, ნათელა, მაყვალა, დები: ილიონი, ალექსანდრა იუწყებიან.
იაკინთე იოსების-ძე გორგაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა [illegible] 28 ივნისს. 15140

ლიმანტრესტის თანამშრომლები მწუხარებას გამოსთქვამენ ტრესტის სათევზაო-საგეგმო განყოფილების გამგის ამხ. დავით ქანიშვილის დის
ტატიანას
გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 30 ივნისს სოფ. შენობანში (ჩოხატაურის რაიონი). 1514

მეუღლე სოფიო, შვილი თინა, სიმამრი სამსონი, ცოლისძმები: მიქი, ვანო, ანდრო კანდელაკები, ქვისლი ლომინ ბეგუშვილი, ბიცოლა ნინო შვილიშვილებით იუწყებიან
ვლადიმერ დავითის-ძე მიქელაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა [illegible] 2 ივლისს. 15138

დამწუხრებული დედა ეკა, მეუღლე ნატაშა, შვილები ბორის, კობა, ძმები: ზარზან, იპოლიტე, ილია, ცოლისძმები სტეფანე, გიორგი, სერგო, ანდრია ცოლშვილით იუწყებიან
გერონტი ვადაჭკორიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ლანჩხუთში ორშ.

გულმოკლული და ნინო, სიძე სიმონ, ძმები: ისიდორე, შალვა კეკელიძეები იუწყებიან, რომ 30 ივნისს, 6 საათზე, ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი
გულნარა ფერდინანის-ასულ სანიკიძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 15144

ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული დ 8514